ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 2 – 3 სექტემბერი, 2017

№208 (7443)

ფასი: 50 თეთრი

რამდენად სწორად გათვლილია საქართველოს გადაწყვეტილება დემირელის კოლეჯის დახურვის თაობაზე?

გვ.4

შალვა ოგბაიძე „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება

„ოცნებასთან“ დაახლოებული პირები ამბობდნენ, რომ კალაძე მაჟორიტარებად ფეხბურთელების წარდგენას აპირებდა. პარლამენტში რამდენიმე მაჟორიტარად სწორედ თავისი კოლეგები გაიყვანა.

გვ.3

ადვოკატი რამიშვილი: „მამა გიორგი საუბრობდა, როგორც სულიერი ლიდერი“

გვ.2

ციანიდის საქმის განხილვა დასრულდა

გვ.4

ისევ კომბალი, ისევ რევოლუცია?

ოპოზიცია ხელისუფლებას აბრალებს საკონსტიტუციო პროცესის ჩაშლას

ანზორ აბრალავა: „რუსეთუმეობას ხელისუფლებას ის ხალხი აბრალებს, რომელიც 2008 წელს რუს დამპყრობლებს მასპინძლობას უწევდა“

გვ.3

რა ღირს პატრულის შეგინება გორში, როცა მოსამართლე პოლიციელის მეუღლეა

გვ.5

უპილოტო საჰაერო ხომალდებთან დაკავშირებით ახალი რეგულაციები ამოქმედდა

გვ.6

ISSN 1987-9385

აქციის მონაწილე რკინიგზელები შიმშილობის აქციას წყვეტენ

გვ.5

Georgian Railway Workers new Trade Union

ქუთაისის აეროპორტთან მისასვლელი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა 4 მილიონ ლარზე მეტი დაჯდება

გვ.6

ადვოკატი რამიშვილი: „მამა გიორგი საუბრობდა, როგორც სულიერი ლიდერი“

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმის განხილვა დასრულდა

ციანიდის საქმეზე 1-ელი სექტემბერს დაცვის მხარემ და მამა გიორგი მამალაძემ დასკვნითი სიტყვა წარმოთქვეს.

პროკურატურის მტკიცებით, ადვოკატები ერთ აბსურდულ ვერსიამდე დავიდნენ. ადვოკატების მტკიცებით კი, მამა გიორგი მამალაძეს ციანიდი ჩაუდეს.

პროკურატურის წარმომადგენლებმა დაცვის მხარის მოწმეების სიმცირესაც გაუსვეს ხაზი. საგამოძიებო უწყების წარმომადგენლების თქმით, მათ 100-მდე მოწმე ჰყავდათ, დაცვის მხარემ კი მხოლოდ ერთი წარმოადგინა.

– ის ერთი მოწმეც დისკრედიტებული ირაკლი ფირცხალავა იყო, – აცხადებენ საგამოძიებო უწყებაში.

ირაკლი ფირცხალავამ ციხიდან გამოგზავნილ წერილში განაცხადა, რომ პროკურატურის მთავარი მოწმე სპეცსამსახურების აგენტ-პროვოკატორია. დაცვის მხარის მოთხოვნით, მან სასამართლოსაც მისცა ჩვენება. პროკურატურის განცხადებით, შსს-ს ყოფილ მაღალჩინოსანს მოწმე ირაკლი მამალაძის აგენტობის დამადასტურებელი არანაირი ფაქტი არ წარმოუდგენია.

დეკანოზის და მისი ადვოკატების დასკვნითი სიტყვა, ისევე, როგორც მთლიანად ეს საქმე, საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევდა. სამწუხაროდ, ეს სასამართლო დახურულია და საზოგადოებას ამბის გაგება მხოლოდ ადვოკატების და პროკურორების კომენტარებით უწევს.

დაცვის მხარემ სასამართლო პროცესზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა.

ადვოკატის მტკიცებით, მამა გიორგი არავის მოკვლას არ აპირებდა და მას ციანიდი ჩაუდეს.

რამიშვილის განცხადებითვე, ამ საქმეში უამრავი დარღვევა არსებობს.

– მოსამართლეს მოვახსენეთ, როგორი დარღვევები ახლავს საქმეს. ვამბობთ, რომ მამა გიორგის ციანიდი ჩაუდეს იმიტომ, რომ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების ჩვენებებიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია, თუ იქნებოდა იქ ამდაგვარი ნივთიერება, მათ არ აღმოეჩინათ. ეს აღმოჩნდა იმის შემდეგ, რაც ბარგის შესამოწმებლად დასჭირდათ 9 საათი და მიიღეს მითითებები, თუ როგორ უნდა ემოქმედათ, – ამბობს ადვოკატი.

მისი თქმით, სწორედ ამით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ ციანიდი აღმოაჩინეს მერე და არა იქ და იმ დროს, სადაც უნდა აღმოეჩინა უსაფრთხოების სამსახურს.

– დასკვნითი სიტყვის დროს სრულყოფილად ვისაუბრეთ იმაზე, რომ წაყენებული ბრალდება უსაფუძვლოა. იმედი მაქვს, მოსამართლის გადაწყვეტილება იქნება მართლა დამოუკიდებელი, მართლა სამართლიანი და ობიექტური და მოსამართლე მამა გიორგი მამალაძის მიმართ მიიღებს გამამართლებელ განაჩენს, – განუცხადა ჟურნალისტებს რამიშვილმა.

საგამოძიებო უწყების წარმომადგენელმა ჯარჯი წიკლაურმა დაცვის მხარის სიტყვა დაიწუნა. როგორც ჯარჯი წიკლაურმა მედიას განუცხადა, ადვოკატები რამდენიმე საათის განმავლობაში ცდილობდნენ, რომ ბრალდებული დეკანოზი მსხვერპლად წარმოეჩინათ.

– დაცვის მხარის მრავალსაათიანი გამოსვლა, დასკვნითი სიტყვები საკმაოდ ვრცელი იყო, თუმცა გამოსვლა დაიყვანეს ერთ უაზრო ვერსიამდე, რასაც ჰქვია ე.წ. ოქრომჭედლის ვერსია. მთელი მათი გამოსვლა იყო მცდელობა იმის, რომ ბრალდებული თითქოსდა შორენა თეთრუაშვილის თხოვნით ოქრომჭედლისთვის ეძებდა ციანიდს და ამაში უნდათ დაარწმუნონ მოსამართლე, – განაცხადა ადვოკატების დასკვნითი სიტყვის მოსმენის შემდეგ აღშფოთებულმა წიკლაურმა.

მისი თქმით, ადვოკატები ხვდებიან, რომ ბრალდება დასტურდება, პროკურორი დაცვის მხარეს ცრუ მოლოდინების გაჩენის გამოც საყვედურობს.

– ისინი საჯაროდ ქმნიან მოლოდინს, რომ ბრალდებული შეიძლება გამართლდეს. ბუნებრივია, ეს მოსალოდნელიც იყო, თუმცა მათი დასკვნითი სიტყვები არ ეყრდნობოდა არანაირ მტკიცებულებებს და არგუმენტებს, – აღნიშნა პროკურორმა.

ადვოკატების შემდეგ დასკვნითი სიტყვა მამა გიორგი მამალაძემ წარმოსთქვა. ადვოკატ მიხეილ რამიშვილის თქმით, დეკანოზი საუბრობდა, როგორც ჩამოყალიბებული, დახვეწილი სულიერი ლიდერი.

– საკმაოდ მოცულობითი იყო ყველაფერი, რაზედაც მამა გიორგიმ ისაუბრა. მან ყველაფერი დეტალურად და სწორად განსაჯა, მოიყვანა ძალიან ბევრი მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ ის განსასჯელის სკამზე იჯდა, ის საუბრობდა, როგორც დახვეწილი, ჩამოყალიბებული სულიერი ლიდერი, – ამბობს ადვოკატი.

მისი თქმით, მამა გიორგი, გარდა იმისა, რომ თავის თავს იცავდა, ქადაგებდა იმაზე, თუ რა არის სიმართლე.

– ის საუბრობდა იმაზე, თუ რატომ არის უდანაშაულო და რატომ უნდა სცნოს ის მოსამართლემ უდანაშაულოდ. მან თქვა, რომ უკანონო გადაწყვეტილებით მხოლოდ ის კი არ დაზარალდება, არამედ მთელ ეკლესიას მიადგება ზიანი, – აღნიშნა რამიშვილმა.

მისი თქმით, თუ სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს, ეს კატასტროფა იქნება.

ადვოკატის განმარტებით, სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ პროკურატურამ დღემდე ვერ დაადგინა, ვისგან და რა ვითარებაში შეიძინა მამა გიორგიმ ციანიდი.

რამიშვილის თქმით, ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ დეკანოზს ციანიდთან არანაირი შეხება არ ჰქონია.

ცნობისათვის, ციანიდის საქმის არსებითი განხილვა 5 თვის მანძილზე მიმდინარეობდა.

2017 წლის 2 თებერვალს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შორენა თეთრუაშვილთან და სხვა პირებთან ერთად სამკურნალოდ გაემგზავრა გერმანიაში.

პროკურატურის მტკიცებით, გიორგი მამალაძემ აღნიშნული ფაქტი მიიჩნია ხელსაყრელ ვითარებად, ვინაიდან უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში შეინიღბებოდა მისი განზრახვა, ამავდროულად, მომწამვლელი ნივთიერების გამოყენებით გამოწვეული სიკვდილის მიზეზისა და დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენა გართულდებოდა საგრძნობლად. გიორგი მამალაძემ უმოკლეს ვადაში შეიძინა შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის ჩასადენად განკუთვნილი 0,8740 გრამი მომწამვლელი ნივთიერება ნატრიუმის ციანიდის შემცველი ფხვნილი. 2017 წლის 10 თებერვალს, გერმანიაში გამგზავრებამდე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, გიორგი მამალაძე დაკავებულ იქნა, ხოლო მისი ბარგის დათვალიერებისას ამოღებულ იქნა ფარულად შენახული, მკვლელობის ჩასადენად განკუთვნილი მომწამვლელი ნივთიერება ნატრიუმის ციანიდი.

თავიდან პროკურატურა ამტკიცებდა, რომ მამა გიორგიმ ციანიდი მაღალი რანგის სასულიერო პირის მოსაკლავად შეიძინა. გაიჟღერა პატრიარქის სახელმაც. თუმცა ბოლოს პროკურატურა შორენა თეთრუაშვილზე ჩამოვიდა.

ციანიდის სკანდალის შემდეგ თანამდებობა დატოვა პატრიარქის დაცვის უფროსმა სოსო ოხანაშვილმა, რომელიც მეუფე დიმიტრის სიძეა. გავრცელებული ინფორმაციით, თავდაპირველად მისი დაკავებაც იგეგმებოდა. სოსო ოხანაშვილი ახლა გერმანიაშია და სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებს.

ადვოკატების მტკიცებით, გამომძიებლები მამა გიორგის დაკავების დღიდანვე სთხოვდნენ, რომ ოხანაშვილის და მეუფე დიმიტრის წინააღმდეგ მიეცა ჩვენება.

უჩა ნანუაშვილი: „უპრეცედენტო დარღვევები ციანიდის საქმეში“

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოში, დეკანოზ გიორგი მამალაძის დასკვნით პროცესს ესწრება.

როგორც პროცესის დაწყებამდე ომბუდსმენმა ჟურნალისტებს განუცხადა, უახლოეს დღეებში სპეციალური დასკვნა გამოქვეყნდება, სადაც საუბარი იქნება ყველა იმ დარღვევაზე, რომელიც საქმეზე სახალხო დამცველის აპარატმა დააფიქსირა.

– საქმე გამოირჩევა იმით, რომ პირველივე დღიდან იყო უპრეცედენტო ხასიათის დარღვევები. სავარაუდოდ, ასეთი არაერთი ფაქტი იყო დაფიქსირებული უშუალოდ დაკავების დღიდან დღემდე. ამას ემთხვევა ისიც, რომ პროცესი არის დახურული, რისი აუცილებლობაც ჩვენ ვერ დავინახეთ.

ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი დარღვევა, მათ შორის, პრინციპების დონეზე, რომელიც, საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ბრალდებულის ინტერესების ხარჯზე ხდება, – განაცხადა სახალხო დამცველმა.

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ

შვეიცარიაში საქართველოს მოქალაქე მოკლეს. 35 წლის ვაჟა კაციაშვილი გურჯაანის მკვიდრია. გარდაცვლილის ოჯახის წევრები გადმოსვენებაში დახმარებას ითხოვენ.

– ორი კვირის წინ ვიცოდით, რომ ჩემი ბიჭი ჩამოდიოდა. ველოდებოდით აქ ცოცხალს და ასე მოხდა. დანარჩენი არ ჩანს, რა მოხდა, მაგრამ საძილე არტერიაა გადაჭრილი. შეიძლება ჩემი ბიჭი ნასვამი იყო და დაწვა, ან უკნიდან მიეპარნენ, თორემ წინიდან რომ მისულიყო, საძილე არტერიაში ვერ ჩაარტყამდა, – განაცხადა კაციაშვილის მამამ.

უკრაინამ რუსეთს გია ცერცვაძის ექსტრადირებაზე უარი უთხრა

უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს მოქალაქე, მოხალისე მეომრის, გია ცერცვაძის გადაცემაზე რუსეთს უარი უთხრა. შესაბამისი წერილი ცერცვაძის ადვოკატმა მედიას წარუდგინა. ინფორმაციას ამის შესახებ „რადიო თავისუფლება“ ავრცელებს:

ადვოკატ კსენია პროკონოვას თქმით, ჩვეულებრივ, ამგვარ ვითარებაში, უკრაინა თანხმდებოდა ხოლმე ექსტრადიციას. მისი თქმით, „ეს ნიშნავს, რომ ჩვენ შევქმენით პრეცედენტი, არ გადავეცით სახელმწიფოს, რომელთანაც ომი გვაქვს, მეომარი, რომელიც უკრაინის მხარეს იბრძოდა. და მეორე: მას შეეძლება კანონიერად დარჩეს უკრაინაში, იცხოვროს, იმუშაოს და გააგრძელოს ის, რისთვისაც ჩამოვიდა“ – განაცხადა პროკონოვამ. ცერცვაძე აპირებს უკრაინის მოქალაქეობის მისაღებად განცხადების შეტანას. ამასთან, მისი თქმით, სურს საბრძოლო მოქმედებათა ზონაში დაბრუნება და უკრაინის დასაცავად ბრძოლა. ცერცვაძე კიევის აეროპორტში წელს, 15 იანვარს საქართველოდან დაბრუნებისას დააკავეს. რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მტკიცებით, ცერცვაძე სოჭში განზრახ მკვლელობის ჩადენასა და მკვლელობის მცდელობაშია ეჭვმიტანილი და სწორედ ამ მიზეზით ითხოვს, რუსეთი მის ექსტრადირებას, თუმცა თავად ცერცვაძე და მისი მხარდამჭერები აღნიშნულ ფაქტს რუსეთის მხრიდან, უკრაინასა და საქართველოში ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლ სამხედროებზე შურისძიებად აფასებენ

გია ცერცვაძე დროებითი პატიმრობიდან 27 იანვარს პროკურორის გადაწყვეტილებით გაათავისუფლეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ანზორ აბრალავა: „რუსეთუმეობას ხელისუფლებას ის ხალხი აბრალებს, რომელიც 2008 წელს რუს დამპყრობლებს მასპინძლობას უწევდა“

„მოვითხოვ ნაცმოძრაობისა და სააკაშვილის რუსეთთან დანაშაულებრივი გარიგების გამოძიებას“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოჰჯომის, აბასთუმნის ტყეებსა და საქართველოს სხვა ჯუთხეებში ხანძრები ღიჯვიღიჰებელია, თუმცა ამ გამოწვევებზე მსჯელობა გრძელდება. „ახალი თაობა" ამ საკითხებზე ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.

ანზორ აბრალავა:

– მომავალში სახელმწიფო ხანძრებსა და სტიქიურ უბედურებას უფრო მომზადებული შეხვდება. იყო პრობლემები, მაგრამ ამ კრიზისულ სიტუაციაში სწორად მოიქცა პრემიერ-მინისტრი. გიორგი კვირიკაშვილის მოქმედებები სახელმწიფოებრივი და გაწონასწორებული იყო.

– გამკრიტიკებლები მასაც ჰყავს. ოპონენტები ხელისუფლებას ვერ პატიობენ იმას, რომ ბორჯომის ხეობაში ხანძრის სალიკვიდაციოდ ხელისუფლებამ დასახმარებლად რუსეთსაც მიმართა.

– ეს გამკრიტიკებლები ძირითადად ნაცმოძრაობას წარმოადგენენ.. ეს ის პირები არიან, რომლებმაც არა მარტო დაკარგეს და რუსეთს დაუთმეს ჩვენი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ, რუს სამხედროებს ომის დროს, 2008 წელს, მძღოლობას და გიდობას უწევდნენ. ასე იქცეოდა გუბერნატორი გოროზია და მისი კოლეგები შიდა ქართლში. ნაცმოძრაობის სახეები – გივი თარგამაძე და სხვები ოკუპანტებს მოუწოდებდნენ, გორში დაებომბათ სტალინის ძეგლი. რუსეთუმეობას ამ ხელისუფლებას ის ხალხი აბრალებს, რომელიც რუს დამპყრობლებს მასპინძლობას უწევდა. სააკაშვილსა და მის დამქაშებს ჩადენილი აქვთ არაერთი მძიმე დანაშაული სამშობლოს წინაშე. ისინი წაგებული ომის შემდეგ ზეიმს აწყობდნენ თბილისის ცენტრში. 21-ე საუკუნეში დოკუმენტების, მტკიცებულებების მოპოვება სირთულეს არ წარმოადგენს. აუცილებელია დამნაშავეების დასჯა.

– 2008 წლის ამბები აქამდე უნდა გამოეძიათ.

– ხელისუფლებაში რომ ვყოფილიყავი, სხვანაირად მოვიქცეოდი და სამართლიანობას აღვასრულებდი. გამოძიება ახლაც შესაძლებელია. ამიტომ მოვითხოვ, მაშინდელი დანაშაულების, სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის რუსეთთან დანაშაულებრივი გარიგების გამოძიებას. დღეს ამ დამნაშავეებს მძევლად ჰყავთ აყვანილი ხელისუფლება და რაც ენაზე მოადგებათ, ყველაფერს აბრალებენ! პირველი ხანძარი ჯერ გაჩაღებულიც არ იყო, რომ ეს ხალხი უკვე მის სიახლოვეს იმყოფებოდა.

– ამით რისი თქმა გსურთ? ეჭვი გაქვთ, რომ ნაცმოძრაობა დივერსიაშია გარეული?

– ეს გამოძიებამ უნდა დაამტკიცოს. პირადად მე ამაში დარწმუნებული ვარ. მათ ეგონათ, რომ ხანძრების გამო ხალხი საპროტესტოდ გამოვიდოდა, ნაცმოძრაობა კი მას სათავეში ჩაუდგებოდა. ტყეებში საეჭვოდ ჩნდებოდა ცეცხლის სხვადასხვა კერა. ეს ორგანიზების გარეშე ვერ მოხდებოდა. მანამდე დაიწვა არაერთი ბაზრობა და სავაჭრო ცენტრი.

– ბაზრობებსა და ტყეებს ბევრი ერთმანეთს არ უკავშირებს.

– მე ამას ერთი სქემის ნაწილებად მივიჩნევ. ნაცმოძრაობის წარმომადგენლები უმოწყალოდ ხოცავდნენ და აწამებდნენ საკუთარ მოქალაქეებს და ქვეყნის ბუნებაზე ან ეკონომიკაზე რატომ შესტკივდებათ გული? აშშ-ის მაშინდელ ადმინისტრაციას რომ არ დაეშალა, ნაცმოძრაობის ხელისუფლება, სააკაშვილის მეთაურობით, მაგისტრალურ გაზსადენსაც რუსეთს მიყიდდა. არავისთვის არაა საიდუმლო, რომ ასეთი გეგმა არსებობდა.

– საერთაშორისო ორგანიზაციები როგორ შეხვდებიან ნაცმოძრაობის დამნაშავე წარმომადგენლების დასჯას?

– მათ წინააღმდეგ დოკუმენტები არსებობს. გაზსადენის რუსეთისთვის მიყიდვის მცდელობის ამბავი ბუშის ადმინისტრაციაში კარგად იციან. სამართლიანი გამოძიების წინააღმდეგ ვინ რა უნდა თქვას!

– სახელმწიფო რომ კრიზისებისთვის უკეთესად უნდა მოემზადოს, ამას პრემიერიც აღიარებს. დაგეგმილია შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და თანხების გამოყოფა კრიზისების დაძლევისათვის. ოპონენტები ამას არასაკმარისად მიიჩნევენ. მათთვის მიუღებელია კრიზისების მართვის საბჭოს შემადგენლობა..

– ბევრი უწყება უნაკლო არ არის, მაგრამ პიროვნებების გაკრიტიკება – უადგილოა. ჩვენ საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ჩვენი ტერიტორიების ნაწილი ოკუპირებულია. საზოგადოებაში ფსიქოლოგიური კრიზისიც არსებობს. სტიქიისას ადგილობრივმა მოსახლეობამ შეგნება და სიმამაცე გამოიჩინა. ზოგს ვედრო ეჭირა ხელში, ზოგს – ნიჩაბი. კარგია, რომ ხალხი მოღალატე პოლიტიკოსებს არც ახლა აჰყვა.

– პოლიტიკურ წრეებში ახალ კრიზისსაც ელიან იმ შემთხვევაში, თუ მმართველი პარტია კონსტიტუციას სხვებთან შეუთანხმებლად მესამე მოსმენითაც დაამტკიცებს.

– დღეს ღრმა კრიზისი, მათ შორის, მორალური, ოპოზიციურ პარტიებს უდგათ. ბევრი მათგანი წლების განმავლობაში საკუთარ ჯიბეს ისქელებდა და დაფინანსებას მტრისგანაც იღებდა. ეს გრძელდება. ინფორმაცია მაქვს იმაზე, თუ რა დიდი შიდა დაპირისპირებებია ზოგიერთ პარტიაში. დასახელებისაგან თავს ვიკავებ. ეს პოლიტიკოსები გარედან მიღებულ ფულს ვერ იყოფენ. სახელმწიფომ ამ უზნეო პარტიების ჭკუაზე არ უნდა იაროს. მან თავისი სიმტკიცე უნდა გამოავლინოს. კონსტიტუციის მიღებით არანაირი კრიზისი არ შეიქმნება. სახელმწიფომ თავისი მტკიცე ხელი იმ დანაშაულების გამოძიების საქმეშიც უნდა გამოიჩინოს, რომელზეც თავიდან ვისაუბრე.

შალვა ოგბაიძე „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულმა ოცნებამ“, როგორც იქნა, მაჟორიტარობის კანდიდატების დასახელებისთვის მოიცალა. ამ ეტაპზე მხოლოდ თბილისელებს გაუმართლათ, თუმცა მმართველი გუნდი მალე რეგიონებშიც გავა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ოცნებას“ თბილისის საკრებულოსთვის მაჟორიტარების შერჩევა ძალიან გაუჭირდა. პარტიის ლიდერები კერძო საუბრებში აცხადებდნენ, რომ მაჟორიტარების შერჩევაზე საკმაოდ სერიოზული დაპირისპირება იყო გუნდში.

თავიდან უკვე არსებულ მაჟორიტარებს თითქოს გარანტირებული ჰქონდათ ადგილები. ყველაფერი კახა კალაძის ამბავმა შეცვალა. როგორც მოგეხსენებათ, ის თბილისის მერობის კანდიდატია და მან ოფიციალურად მოითხოვა, რომ პარტიული სია და მაჟორიტარები მისი ხალხით ყოფილიყო დაკომპლექტებული.

კალაძის ამ მოთხოვნას გუნდში დიდი სიხარულით არ შეხვედრიან და, როგორც ამბობენ, მას ბოლომდე თავისი არ გაატანინეს

მაჟორიტარების სია პრემიერთან შეხვედრის დროს დაამტკიცეს. პოლიტსაბჭო დამტკიცებული მაჟორიტარების ვინაობის გამხელას 1-ელი სექტემბრის 20 საათამდე არ აპირებდა. თუმცა რაღაც ინფორმაციებმა მაინც გამოჟონა.

კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ თვითმმართველობის არჩევნებზე „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება შალვა ოგბაიძე. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ მოქმედ საკრებულოში დემოკრატიული მოძრაობის კვოტით შევიდა.

მასთან ერთად დემოკრატიულ მოძრაობიდან საკრებულოში თამარ ცინცაბაძე და ზაზა ვეკუა მოხვდნენ. სამივე მათგანმა დემოკრატიული მოძრაობა გასულ წელს დატოვა.

„ოცნებასთან“ დაახლოებული პირები ამბობდნენ, რომ კალაძე მაჟორიტარებად ფეხბურთელების წარდგენას აპირებდა. პარლამენტში რამდენიმე მაჟორიტარად სწორედ თავისი კოლეგები გაიყვანა.

მაჟორიტარებში ფეხბურთელები არ არიან და ვნახოთ, რა იქნება პარტიულ სიაში.

„ოცნებას“ მაჟორიტარების წარდგენა ნახანძრალს მოუწია. კანდიდატების წარდგენამდე რამდენიმე საათით ადრე მთაწმინდის ფერდობს ხანძარი გაუჩნდა. ხანძრის ჩაქრობის შემდეგ წვიმაც მოვიდა.

მაჟორიტარების წარდგენისას ხანძარგამოვლილმა პრემიერმა აღიარა, წვიმა შემიყვარდა ნამეტანიო.

წვიმაზე შეყვარებულმა მთავრობის მეთაურმა კანდიდატები ბედნიერი სახით წარადგინა.

მისი თქმით, 21 ოქტომბერს არის საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები.

– თვითმმართველობის არჩევნებში ხალხი გადაწყვეტს, ვის ჩააბაროს მართვა ადგილობრივ დონეზე. ვინ იფიქრებს და იზრუნებს მეტად ხალხის საჭიროებებზე, ცხოვრების უკეთესი პირობის შექმნაზე. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხალხი ამჯერადაც სწორ არჩევანს გააკეთებს, – განაცხადა წვიმის მოყვარულმა კვირიკაშვილმა.

მაჟორიტარების სია კი ასე გამოიყურება:

1. ჯაბა ჯიშკარიანი – (მთაწმინდა)
2. გიორგი მუსხელიშვილი – (ვაკე /ძირეული ვაკე, ბაგები, წყნეთი)
3. გიორგი ბირბიჩაძე – (ვაკე/ვაჟა-ფშაველა, ნუცუბიძე)
4. ავთანდილ ცინცაძე – (საბურთალო/ვაშლიჯვარი, დიდი დიღომი, სოფელი დიღომი)
5. დავით ურთმელიძე – (საბურთალო/საბურთალოს ქუჩა, გაგარინი, გოთუა, მარცხენა ნაწილი)
6. ვახტანგ შაქარაშვილი – (საბურთალო/დოლიძე-ბახტრიონი, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია, მარჯვენა ნაწილი)
7. თემურ გორგაძე – (კრწანისი)
8. ილია ჯიშკარიანი – (ისანი/ქეთევან წამებულის გამზირი, ავლაბარი, მეტრომშენი)
9. ნინო ლაცაბიძე – (ისანი/ნავთლუღი)
10. ლევან დავითაშვილი (ისანი)
11. გიორგი დოხტურიშვილი – (სამგორი/ვარკეთილი მასივი /მეტრომდე)
12. გიორგი ტყემალაძე – (სამგორი/ორხევი, ლილოს დასახლება, აეროპორტი)
13. რევაზ სოხაძე – (სამგორის მაჟორიტარი /ვარკეთილი მეტროს ზევით)
14. თამარ ტალიაშვილი – (ნაძალადევი/თემქა)
15. რიმა ბერაძე – (ჩუღურეთი)
16. ვლადიმერ ძნელაძე – (დიდუბე/აღმაშენებლის გამზირის მხარე)
17. თარაშ შურღაია – (დიდუბე/დიღმის მასივის მხარე)
18. დავით ჭელიძე – (ნაძალადევი/ძველი ნაძალადევი, ლოტკინი)
19. მიხეილ ამაშუკელი – (ნაძალადევი)
20. ალექსანდრე ხუჯაძე (ნაძალადევი/სანზონა)
21. ქეთი მამულაშვილი – (სამგორი/მოსკოვის გამზირი, აფრიკა)
22. შალვა ოგბაიძე – (გლდანი/ზაჰესი, ავჭალა, გლდანულა, სოფელი დიღომი)
23. ოთარ გრიგოლია – (გლდანი/ლუწი მიკრორაიონები)
24. გულია გოცირიძე – (გლდანი/კენტი მიკრორაიონები)
25. ქეთევან ჯოხაძე – (გლდანი/მუხიანი).

* * *

პარლამენტის ვიცე-სპიკერის გია ვოლსკის აზრით, მაჟორიტარების შემადგენლობა ზომიერად არის განახლებული.

საინტერესოა, რა დოზით იქნება მათი პარტიული სია გადახალისებული.

ისევ კომბალი, ისევ რევოლუცია?

ნონა ცაბაძე

საპარლამენტო უმრავლესობის განცხადებას საკონსტიტუციო ჰეფოჰმასთან დაკავშირებით ოპოზიციაში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. უმრავლესობაში მიიჩნევენ, რომ ამ ჰოცესთან დაკავშირებით კონსენსუსის არარსებობა ოპოზიციის თვითმიზანი იყო. ამიტომ უმრავლესობა არც ვენეციის კომისიის კომენტარებს, საშემოდგომო სესიაზე დაამტკიცებს ორი მოსმენით მიღებული ტექსტს ჰედაქციული შესწორებებით. 6 სექტემბერს, საშემოდგომო სესიაზე დაამტკიცებს ორი მოსმენით მიღებულ ტექსტს ჰედაქციული შესწორებებით.



ოპოზიცია ხელისუფლებას აბრალებს საკონსტიტუციო პროცესის ჩაშლას

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს ნიკა რურუა და გიორგი ახვლედიანი პასუხობენ.

ნიკა რურუა, ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი:

– ბატონო ნიკა, უმრავლესობაში აცხადებენ, რომ სტრასბურში წასვლას არ გეგმავენ და აპირებენ, ორი მოსმენით მიღებულ ტექსტს რედაქციული შესწორებებით უყარონ კენჭი. საბოლოოდ უარი თქვა ხელისუფლებამ დათმობაზე?

– ის, რაც ჩვენ ისედაც ვიცოდით, ახლა უკვე საქვეყნოდ გაირკვა, რომ ხელისუფლება კონსენსუსზე არ მუშაობდა, ის მიათრევდა თავის უვარგის, ოლიგარქიულ პროექტს, რომელმაც არ გაიარა არც ვენეციის კომისია, არც საერთო სახალხო მოსმენა, არც არანაირი კონსენსუსი მას არ აქვს პოლიტიკური სცენის სხვა წევრებისგან, ის არალეგიტიმურია პოლიტიკურად და იღებენ ასეთ პარტიულ დოკუმენტს, რომელიც ნამდვილად ვერ იქნება ღირსი, რომ მას ვუწოდოთ კონსტიტუცია! ეს ჩვენ ვიცოდით, ახლა ეს იცის ყველამ.

– კონსენსუსის მზაობა უმრავლესობის მხრიდან ფარსი იყო?

– დიახ, ეს იყო სრული ფარსი. თავიდანვე ვამბობდით ამას და ახლა უკვე ეს თვითონაც დაგვიდასტურეს. „ოცნებამ“ ეს ფარსი დასრულებულად გამოაცხადა, რახან ვერანაირი განხეთქილება ვერ შეიტანა პრინციპულ, ნამდვილ ოპოზიციაში, პროდასავლურ ოპოზიციაში და გამოავლინა, რომ მას კონსენსუსი არ უნდოდა.

– რა გამოდის, რომ ვენეციის კომისიაც მოტყუებული დარჩა?

– კი, ასე გამოდის ზუსტად! ეს არის ყოვლად უვარგისი დოკუმენტი, რომელიც არ გამოადგება ქვეყანას და დააზიანებს ასევე „ქართულ ოცნებასაც“, ვინაიდან ის იქნება პოლიტიკური ლეგიტიმაციის არმქონე.

– ხელისუფლება ოპოზიციას გადანაშაულებთ კონსენსუსის ვერმიღწევაში.

– ეს არის ტყუილი და თვალებში ნაცრის შეყრა. ახლა ჩვენზე გადმობრალება უნდათ და უნდათ გადღაბნა სინათლის, მკაფიოობის, რათა ამომრჩეველმა, ქართველმა ხალხმა ვერ დაინახოს, რა არის რეალობა. ეს ფარსი არ გამოუვათ! ხალხი მშვენივრად ხედავს, რომ მას ართმევენ უფლებას, პირდაპირ აირჩიოს თავის პრეზიდენტი, მანკიერი მაჟორიტარული სისტემა ნარჩუნდება და დანარჩენი ყველაფერიც ისე იქნება მოწყობილი, რომ ანგარიშვალდებულება საერთოდ არ იქნება ახალ სისტემაში. ვერ გაიგებ, ვინ რაზეა პასუხისმგებელი. იქნება ერთი დიდი გადღაბნილობა! ეს აწყობს ოლიგარქს, რომ შეინარჩუნოს ფორმალური მმართველობა.

– 6 სექტემბერს სტრასბურში ოპოზიციის წასვლასაც ეკარგება აზრი?

– რა თქმა უნდა!

– რას აპირებს ოპოზიცია, თუ გაქვთ სამოქმედო გეგმა?

– ამაზე უკვე მოგვიანებით!

გიორგი ახვლედიანი, დემოკრატიული მოძრაობა:

– ბატონო გიორგი, უმრავლესობაში აცხადებენ, რომ კონსტიტუციის ირგვლივ კონსენსუსი ვერ მოხერხდა და ამაზე პასუხისმგებლობა ოპოზიციას ეკისრება. როგორია თქვენი შეფასებები?

– ხელისუფლებამ ვერ გაუძლო ცდუნებას! არაფერი მოულოდნელი და განსაკუთრებული არ მომხდარა, ჩვენი ხელისუფლების ხასიათს თუ გავითვალისწინებთ. რაც შეეხება ოპოზიციის ბრალეულობას, მადლობა ღმერთს, რომ ყველამ დაინახა, რამდენი ინიციატივა იყო ჩვენი მხრიდან, როგორი ამომწურავი ინიციატივა შესთავაზა ოპოზიციამ ხელისუფლებას. პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა და ყველა საკითხზე სამსჯელოდ მზაობა გამოთქვა ოპოზიციამ.

– ხელისუფლება კი აცხადებს, რომ კონსენსუსის არარსებობა ოპოზიციის თვითმიზანი იყო.

– რაც უნდა თქვას „ქართულმა ოცნებამ“, სპილო აქლემიაო, ამით სპილო აქლემი ხომ არ გახდება?! ყველამ კარგად დაინახა, ჩვენ ამ ინიციატივებს როგორ წარმოვაჩენდით. ერთადერთი ვერ გაიგო ხელისუფლებამ, რომელსაც არ უნდა კონსენსუსი. თუ მაჟორიტარული სისტემა ვერ შეინარჩუნეს, მაშინ მათთვის ყველაფერი აზრს კარგავს, რადგან მაჟორიტარების გარეშე უმრავლესობას ვერ მოიპოვებენ.

– ანუ მათი ბრალია მოლაპარაკებების ჩაშლა?

– რა თქმა უნდა! „ქართულმა ოცნებამ“ დაამტკიცა სამი რამე.

– კერძოდ?

– პირველი, რომ ხელისუფლებას ეშინია მოლაპარაკებების, კონსენსუსის და გარბის მოლაპარაკების მაგიდიდან, მეორე ის, ისინი აპირებენ, რომ მიიღონ ერთპარტიული კონსტიტუცია და ეს უკვე გადაწყვეტილი აქვთ და მესამე, ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება უზარმაზარ ნაბიჯს დგამს ავტოკრატიისკენ. ქვეყანაში სიტუაცია ძალიან უარესდება და ფერები ძალიან მუქდება.

– ამით რისი თქმა გსურთ, ცუდ პროცესებს ელით?

– შესაბამისად ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ უახლოეს მომავალში ქვეყანაში ისევ დაიწყება რევოლუციური პროცესები, ისევ დაიწყება რადიკალიზაცია. საზოგადოება დაინახავს, რომ არჩევნების გზით ხელისუფლება არ იცვლება, ხელში აიღებს კომბალს და ვისზე გადატყდება ეს კომბალი, ეს ამ ქვეყანაში ბევრჯერ გვინახავს.

სააკაშვილი ყველაფერზე იყო წამსვლელი, მზად იყო, სისხლი დაეღვარა, მაგრამ მან ვერ შეინარჩუნა ხელისუფლება და ესენი, მით უმეტეს, ვერ შეინარჩუნებენ. ძალიან დიდი იქნება საერთაშორისო ზეწოლა. თვითონ რომ ვერაფრის თქმა მოახერხეს, ოქრიაშვილი შემოგვაჩეჩეს და რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ?!

– ანუ ამ ვადით დაასრულებს „ოცნება“ მოღვაწეობას?

– 2020 წელს „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში აღარ იქნება. ძალიან სამწუხაროა, რომ ისევ რევოლუციური განვითარების გზით უნდა წავიდეთ. ამ ქვეყანას არ ეღირსა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ისეთ საარჩევნო სისტემას შექმნის, რომელიც საზოგადოებას საშუალებას მისცემს, არჩევნებით შეცვალოს ხელისუფლება. ამიტომ ქმედებაში გამოყენებული იქნება ისევ კომბალი!

რამდენად სწორად გათვლილია საქართველოს გადაწყვეტილება დემირელის კოლეჯის დახურვის თაობაზე?

სტამბოლის აეროპორტში ჩასვლისას, ქალაქის ისტორიის გასაცნობად ვიკიპედიის მოშველიებას თუ მოისურვებთ, იმედგაცრუებული დარჩებით. ონლაინ ენციკლოპედია თურქეთის მთავრობამ, ბევრი ახსნა-განმარტების გარეშე, დაბლოკა. ეს ფაქტი ერთ-ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ქვეყანაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე მასშტაბური შეზღუდვა ხდება.

– 2016 წლის ივლისის გადატრიალების მცდელობის შემდეგ, გამომდინარე საგანგებო მდგომარეობიდან, პრეზიდენტის ძალაუფლება და რესურსები იმისკენაა მიმართული, რომ მოხდეს ინსტიტუციური, პოლიტიკური თუ მედია პრესტიჟის გაქრობა და დანგრევა, – ამბობს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი სინან ჯიდი.

– ეს ემსახურება იმას, რომ 2019 წლისთვის, როდესაც ერდოღანი კიდევ ერთხელ იყრის კენჭს, პოლიტიკური ლანდშაფტი მაქსიმალურად ჩაკეტილი იყოს საწინააღმდეგო აზრისთვის, – თქვა მან.

თურქეთმა ანტალიაში, ცოტა ხნის წინ, ფართომასშტაბიან მედია ფორუმს უმასპინძლა, სადაც გამომსვლელები ცდილობდნენ მედიის წარმომადგენლების დარწმუნებას, რომ გასული წლის გადატრიალების შემდეგ დაწყებული ბიუროკრატიული წმენდა თუ დაკავებები არაფერია, თუ არა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ტერორიზმის შეკავების მცდელობა. მის მონაწილეებს ერთ დროს ერდოღანის მოკავშირე, ახლა კი მთავარი მტრის, რელიგიური ლიდერის ფეტულა გიულენის შესახებ ინგლისურ ენაზე გამოცემული წიგნები გადასცეს, სახელწოდებით „თანამედროვე ასასინი.“ თურქეთის კულტურის მინისტრმა ნაბი ავჯემ მედიაში თურქეთის კრიტიკა „ისლამოფობიას და უმეცრებას“ დაუბრალა.

ანკარის მიერ განტევების ვაცის ძებნა პოლიტიკური დისკურსის ნაწილი გახდა. ერდოღანი გამუდმებით სდებს ბრალს სხვადასხვა ჯგუფებს, ქურთულ თუ ფეტულასთან დაკავშირებულ პირებს სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებაში და კვალდაკვალ ზღუდავს თავისუფლებას, ოპოზიციურ აზრს.

საქართველოს განათლების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, გაუუქმოს ავტორიზაცია დემირელის კოლეჯს, რაც მის დახურვას გამოიწვევს. დემირელის კოლეჯი მეორე თურქული სკოლაა, რომელიც საქართველოში დაიხურა. პირველი, ბათუმში მდებარე შაჰინის ლიცეუმი იყო. საქართველო ასევე განიხილავს დემირელის კოლეჯის დირექტორის, მუსტაფა ემრე ჩაბუქის თურქეთში ექსტრადიციის საკითხს. ცოტა ხნის წინ ემრე ჩაბუქს, რომელიც საქართველოში 15 წელია ცხოვრობს, ლტოლვილის სტატუსზე უარი ეთქვა.

მასობრივი დაკავებების პროცესი ტერორიზმის ბრალდებით და ექსტრადიციის მოთხოვნები, 2016 წლის გადატრიალების მცდელობის შემდეგ დაიწყო. ამ დრომდე, თურქეთი აგრძელებს საჯარო მოსამსახურეთა, ჟურნალისტთა და აქტივისტთა დაპატიმრების სერიას. გადატრიალების შემდეგ სამსახურიდან დაითხოვეს 90,000 საჯარო მოხელე, დახურეს ასობით მედია გამოცემა და არასამთავრობო ორგანიზაცია, ასევე დააკავეს პარლამენტის წევრებიც. რამდენიმე კვირის წინ, რეჯეფ ერდოღანი მუსტაფა ქემალ ათა–თურქის მიერ დაფუძნებული პარტიის წევრებს სიტყვიერად დაესხა თავს და მათ გადატრიალების შემოქმედებთან კავშირი დასდო ბრალად.

– თურქეთში მიმდინარე მოვლენები ვაშინგტონსა და ანკარას შორის ურთიერთობებს საშიშროებას უქმნის. ეს ნატოსთვისაც საშიშია. მე ვშიშობ, რომ პრეზიდენტი ერდოღანი ქვეყანას სამოქალაქო ომამდე მიიყვანს. ქვეყანა ძალზე გაყოფილია, ერდოღანი 16 აპრილის რეფერენდუმის შედეგებს სათავისოდ იყენებს და იბრძვის, ქვეყანას საკუთარი სურვილი თავს მოახვიოს, – ამბობს ამერიკის ყოფილი ელჩი თურქეთში ერიკ ედელმანი.

ეს პროცესი გასცდა თურქეთის საზღვრებსაც. საქართველოში დემირელის კოლეჯის დახურვა და მუსტაფა ემრე ჩაბუქისთვის თავშესაფარზე უარის თქმა, ერდოღანს „კუდიანებზე“ გამოცხადებულ „ნადირობაში“ ხელს უწყობს. საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ბევრჯერ მოუწოდეს თბილისს, არ გადასცეს ჩაბუქი თურქეთს. მათი განცხადებით, თურქეთში მისი უფლებები შეილახება, რა მიზეზითაც ჩაბუქის ექსტრადიციას საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს.

– საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, აკრძალულია პირის გადაცემა ისეთი სახელმწიფოსთვის, სადაც ამ პირს, დიდი ალბათობით, დაემუქრება წამება, არაადამიანური მოპყრობა, ან ადამიანის უფლებების სხვა სერიოზული დარღვევები. „საერთაშორისო ამნისტიას“ აღწერილი აქვს თურქეთში არსებული ადამიანის უფლებათა დარღვევები მათ წინააღმდეგ, ვისაც ბრალად ედება გიულენის მოძრაობასთან გარკვეული კავშირები. შესაბამისად, დემირელის კოლეჯის მმართველი მუსტაფა ემრე ჩაბუქი, თუკი ის აღმოჩნდება თურქეთის ხელისუფლების ხელში, მისი ფუნდამენტური უფლებები შეიზღუდება, – ამბობს ლევან ასათიანი. მისივე თქმით, მსგავსად საერთაშორისო კანონმდებლობისა, საქართველოს კანონმდებლობაც კრძალავს ამ სიტუაციაში პირის ექსტრადიციას.

ემრე ჩაბუქი, თურქეთის მთავრობის წევრების სტუმრობიდან ერთ დღეში, 2017 წლის 24 მაისს დააკავეს. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება შესაძლოა, სტრატეგიული პარტნიორობის გათვალისწინებით გადადგმული ნაბიჯია, თუმცა „საერთაშორისო ამნისტიის“ წარმომადგენლის ლევან ასათიანის განცხადებით, „სტრატეგიული პარტნიორობა არ ნიშნავს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას.“

რამდენად სტრატეგიული და სწორად გათვლილია ოფიციალური თბილისის ეს ნაბიჯი? საქართველოს მნიშვნელოვანი მოკავშირეები და სტრატეგიული პარტნიორები, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები, არ აკმაყოფილებენ თურქეთის (ნატოს წევრი ქვეყნის) მოთხოვნებს. თავად ფეტულა გიულენი ამ დროისთვის პენსილვანიის მკვიდრია და ვაშინგტონი ანკარას მის გადაცემაზე უარს ეუბნება, ხოლო გერმანიამ რამდენჯერმე უარყო ანკარის მოთხოვნა გიულენთან კავშირში ბრალდებული პირების ექსტრადიციაზე.

– თურქეთში მიმდინარე მოვლენები ამერიკის და თურქეთის ურთიერთობებს საშიშროებას უქმნის. ეს ნატოსთვისაც საშიშია. მე ვშიშობ, რომ პრეზიდენტი ერდოღანი ქვეყანას სამოქალაქო ომამდე მიიყვანს, – ამბობს რტიკ ედელმანი.

ცოტა ხნის წინ, ესპანეთმა გაათავისუფლა თურქი წარმოშობის გერმანელი მოქალაქე, რომლის გადაცემასაც ანკარა ითხოვდა. თურქეთის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს არც საბერძნეთი, რომლის უზენაესმა სასამართლომაც იანვარში თურქი სამხედროების ექსტრადიციაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ თურქეთში მათი „ფუნდამენტური უფლებები შეიზღუდებოდა.“

პარტია „ევროპული საქართველოს“ წევრის სერგი კაპანაძის თქმით, საქართველო უნდა მიჰყვეს ევროპულ სტანდარტს და დაიცვას ადამიანის უფლებები.

– რა თქმა უნდა, სტრატეგიულ პარტნიორთან და ჩვენს მეგობარ თურქეთთან კარგი ურთიერთობა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს დემოკრატიის და ადამიანის უფლებების ხარჯზე. სამწუხაროა, რომ ამ ბალანსის შენარჩუნებას საქართველოს მთავრობა ვერ ახერხებს, – აღნიშნა მან.

ექვს ივლისს, ევროპარლამენტმა რეზოლუცია მიიღო, სადაც ანკარა გადატრიალების შემდგომი ქმედებების და მათ შორის, საპატიმროებში არსებული ცუდი მოპყრობისთვის გააკრიტიკა. თუმცა, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განცხადებით, მათ შეისწავლეს თურქეთის ციხეებში არსებული მდგომარეობა და მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს „ემრე ჩაბუქისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭება საქართველოს კანონით დადგენილი საფუძვლით“.

თურქეთის მოთხოვნებს, დასავლური სახელმწიფოებისგან განსხვავებით, აკმაყოფილებენ აზიის და აფრიკის ქვეყნები. საქართველო არაა ერთადერთი ქვეყანა, სადაც თურქეთი სკოლების დახურვას და ე.წ. ფეტულას ტერორისტულ ორგანიზაციასთან (თ) დაკავშირებული პირების გადაცემას ითხოვს. ამ უკანასკნელს, თურქეთის გარდა, არავინ ცნობს ტერორისტულ ორგანიზაციად. თუმცა, მსგავსი მოთხოვნებით თურქეთმა მსოფლიოს ბევრ ქვეყანას მიმართა.

გიულენის „ჰიზმეთის“ მოძრაობასთან აფილირებული სკოლების თაობაზე თურქეთის პოზიცია გაითვალისწინეს აფრიკის ქვეყნებმა, როგორიცაა ნიგერია, ზანზიბარი და სენეგალი. ცენტრალური აზიის ზოგიერთმა ქვეყანამ კი თურქეთს უარი განუცხადა, მაგალითად, ყირგიზეთმა.

„საერთაშორისო ამნისტიის“ წარმომადგენელი ლევან ასათიანი „ამერიკის ხმასთან“ ამბობს, რომ „საქართველომ უნდა აირჩიოს, ევროპის სახელმწიფოებთან გაიგივება სურს თუ არა, როგორი მისწრაფება აქვს საქართველოს – სურს, რომ იმოქმედოს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებით, თუ ეს სტანდარტები უგულებელყოს“.

რა ღირს პატრულის შეგინება გორში, როცა მოსამართლე პოლიციელის მეუღლეა

გორის პატრულის თანამშრომლის შეურაცხყოფის ფაქტზე მოქალაქეებს ადგილობრივ საქალაქო სასამართლოში სხვადასხვა მეთოდით სჯიან.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრმა გამოითხოვა პოლიციელის დაუმორჩილებლობისათვის, ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილებების ასლები.

მასალების მიხედვით, ერთ პირს მხოლოდ შენიშვნა, მეორეს – 250-ლარიანი ჯარიმა, მესამეს კი, 4-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ყველაზე მკაცრი მოსამართლე შორენა წიქარიძე აღმოჩნდა, რომლის მეუღლე შს სამინისტროს თანამშრომელია.

რაც შეეხება დანარჩენ მოსამართლეებს, მასალების მიხედვით (სულ სამი გადაწყვეტილება მოგვაწოდეს), შედარებით მსუბუქი სასჯელი იმ ადამიანებს მიუსაჯეს, რომლებიც, ასევე, აგინებდნენ და მუშაობაში ხელს უშლიდნენ პოლიციელებს. უფრო მეტიც, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში წერია, რომ ერთ-ერთ მათგანს სამსახურებრივი იარაღის ტარების უფლება არ ჰქონდა.

ქალაქ გორში, ჭავჭავაძის გამზირზე, მ.ჩ-მ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციის თანამშრომლებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. მოქალაქე „ადმინისტრაციული წესით“ 13:30 წთ-ზე დააკავეს.

სასამართლო პროცესზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შემდგენმა განმარტა, რომ მოქალაქე არ დაემორჩილა საგზაო ნიშანს „გაჩერება აკრძალულია“, საჯარიმო ქვითრის შედგენის შემდეგ, გამოხატა აგრესია და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციის თანამშრომლებს.

სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი აღიარა მოქალაქემ.

– წარმოდგენილი მასალებისა და საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მ.ჩ-ს ქმედება არ გამოირჩეოდა კანონის არსებითი დარღვევის ხასიათით, მის მიერ ჩადენილ ქმედებას არ გამოუწვევია მნიშვნელოვანი ზიანი, ყავს შვილი, რის გამოც სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება და მას უნდა მიეცეს სიტყვიერი შენიშვნა, – წერს მოსამართლე დავით პაპუაშვილი.

მოქალაქე გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე გაათავისუფლეს სასამართლოს დარბაზიდან..

ქ. გორში, მოქალაქე გ.გ. ხელს უშლიდა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში და არ დაემორჩილა მათ. სასამართლოს ოქმის მიხედვით, გ.გ. დაკავებულ იქნა ადმინისტრაციული წესით.

სასამართლო სხდომაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა დაადასტურა, რომ გ.გ ხელს უშლიდა პოლიციის თანამშრომლებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში, არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომელთა კანონიერ მოთხოვნას.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ გ.გ-ს სამსახურებრივი საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება არა აქვს.

– პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნევს იმას, რომ მან გულწრფელად აღიარა და მოინანია ბრალად შერაცხული სამართალდარღვევის ჩადენა. დამამძიმებელი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმის მასალებში არ მოიპოვება, – წერს მოსამართლე ლევან დარბაიძე.

მისი გადაწყვეტილებით, მოქალაქე გ.გ-ს 250 ლარი ჯარიმა დააკისრეს.

შედარებით საკმაოდ მძიმე გამოდგა პატრულის შეურაცხყოფა მოქალაქე გ.მ-სთვის, რომლის საქმე მოსამართლე შორენა წიქარიძემ განიხილა. შორენა წიქარიძის მეუღლე შს სამინისტროში მუშაობს.

– საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მას მოუწოდეს, რომ ავტომანქანა, რომლის საჭესთანაც იგი იჯდა, სავალი გზის ნაწილზე იყო გაჩერებული და ამით აფერხებდა სხვა ტრანსპორტის გადაადგილებას, რა დროსაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიმართ გამოხატა აგრესია და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ასევე, აგდებულ დამოკიდებულებას იჩენდა როგორც საპატრულო პოლიციის მანქანაში, ასევე, სასამართლო სხდომის დარბაზში პროცესის მიმდინარეობისასაც, – წერს მოსამართლე შორენა წიქარიძე, რომელმაც ფაქტის აღწერისას საკუთარი შინაგანი რწმენაც გამოამჟღავნა მოვლენის შეფასების სახით.

აღსანიშნავია, რომ მოქალაქე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს ნაწილობრივ დაეთანხმა, კონკრეტულად, რა ნაწილში, ეს არ წერია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

– მართალია, მან აღიარა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, თუმცა, მას არ მოუნანიებია გადაცდომა და სასამართლო სხდომის დარბაზშიც კი გარკვეულ წილად აგრესიას გამოხატავდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მიმართ, – აღნიშნავს მოსამართლე შორენა წიქარიძე.

როგორც შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრმა გაარკვია, მოქალაქე, სხვა ორი შემთხვევისგან განსხვავებით, იყო ნასამართლევი პირი და არ წარმოადგენდა რომელიმე საჯარო დაწესებულების თანამშრომელს ან პატრულის თანამშრომლის მეგობარს. მას შორენა წიქარიძემ 4-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა.

განყოფილების უფროსის გასაძევებლად საკრებულოს სხდომაზე დაცვის პოლიცია გამოიძახეს

ქალაქ გორის საკრებულოს სხდომაზე მერიის სპორტისა და ახალგაზრდული განყოფილების ანგარიშს უარყოფითი შეფასება მისცეს.

ამის შესახებ გადაწყვეტილება საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ მიიღო. დეპუტატების ნაწილმა კი, კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

ანგარიშის მოსმენა ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა.

საკრებულოს წევრები ამბობენ, რომ განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა ნიკა წიქარიძემ, ჯერ კიდევ კომისიის სხდომაზე მწერალ ვანო ჩხიკვაძეს და მსახიობ რამაზ იოსელიანს შეურაცხყოფა მიაყენა.

– მოდის კომისიის სხდომაზე განყოფილების თანამშრომელი ნიკა წიქარიძე და ეუბნება ვანო ჩხიკვაძეს, რამაზ იოსელიანს, რომ თქვენ ვინა ხართო. შეიძლება არ იცნობს მათ, როგორც მწერალს, როგორც მსახიობს, მაგრამ მერიის თანამშრომელი არ უნდა იცნობდეს საკრებულოს წევრს? – ამბობდა დავით წეწვაძე, საკრებულოს წევრი „ქართული ოცნებიდან“.

საკრებულოს წევრი „ქართული პარტიიდან“ რამაზ იოსელიანი აცხადებს, რომ მერიის სპორტის განყოფილების მიერ წარდგენილი ანგარიში, ნაცვლად 2017 წლისა, შეიცავს გასული წლის მონაცემებს:

– ანგარიშში გვიწერია, რომ 2016 წლის 26 აგვისტოს სპორტსმენები იმყოფებოდნენ პოლონეთში. და თანაც, თქვენ, ქალბატონო თეა, ჩვენს შეკითხვებზე თურმე გაქცეულხართ კომისიის სხდომიდან, – უთხრა რამაზ იოსელიანმა განყოფილების უფროსს თეა კეჩხუაშვილს.

სხდომაზე განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნიკა წიქარიძე არ იმყოფებოდა. დეპუტატების პრეტენზიებს თეა კეჩხუაშვილი ისმენდა. მისი თქმით, საკრებულოს წევრები არ უნდა იხილავდნენ ისეთ საკითხს, თუ ვინ ვის იცნობს:

– თუ ანგარიშთან დაკავშირებით გაინტერესებთ ინფორმაცია, მომმართეთ მე. ვინ იცნობს სახეზე, მაგალითად, ოლიმპიურ ჩემპიონს ასანიძეს ან ზვიადაურს, ეგ აქ განსახილველი თემა არაა, – ამბობდა თეა კეჩხუაშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ ზურაბ როსებაშვილმა თეა კეჩხუაშვილს სხდომის დატოვება მოსთხოვა. ამის მიზეზად მან ის დაასახელა, რომ დეპუტატებს სიტყვით გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა.

„როგორც იქცევი ზურა?“ – მიმართა კეჩხუაშვილმა როსებაშვილს.

„დაუძახეთ დაცვას“ – ბრძანა საკრებულოს აპარატის უფროსმა ზაზა ნასყიდაშვილმა. დაცვის პოლიციის თანამშრომელმა თეა კეჩხუაშვილი დარბაზიდან არ გაიყვანა, ის მხოლოდ ეუბნებოდა განყოფილების უფროსს, რომ დაეტოვებინა სხდომა.

საბოლოოდ, თეა კეჩხუაშვილმა სხდომა არ დატოვა.

უარყოფითი შეფასება, ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე, საკრებულოს განათლების, ჯანდაცვისა და სპორტის კომისიის წევრებმა მისცეს.

სოფელი არდოტი სამი ოჯახის იმედადღაა დარჩენილი

პირიქითა ხევსურეთის სოფელ არდოტში, 1943 წელს, 446 ადამიანი ცხოვრობდა. ამჟამად სოფელს მუდმივი მცხოვრებლის სტატუსით მხოლოდ სამი ადამიანიღა შემორჩა. ნიკო არდოტელი ერთ-ერთია, ვინც იქაურობას დღემდე აცოცხლებს.

– არდოტში ცხოვრობდა 125 ოჯახი და იყო 446 სული. შემდეგ წამოვიდა კლება, მოხდა გადასახლება, წავიდნენ... და აი, მე მოვესწარი, პატარა რომ ვიყავი – 20 ოჯახს.“

დღეს არდოტი სამი ოჯახის იმედადღაა დარჩენილი და როგორც აქაურები ამბობენ, თუკი ხელისუფლება ელემენტარულ საარსებო პირობებს არ შექმნის, არდოტიც იგივე ბედს გაიზიარებს, რაც არჭილოს და ხახაბოს, დღეს უკვე დაცარიელებულ სოფლებს ეწია.

ნიკო არდოტელი მესაზღვრეა და 15 წელია მუცოს სექტორზე საქართველოს საზღვარს იცავს. მისმა ოჯახმა მთა, როგორც მუდმივი საცხოვრისი, წლების წინ დატოვა და სოფელ გამარჯვებაში გადავიდა. არდოტს მხოლოდ ზაფხულობით სტუმრობენ. სოფელში სკოლა არ არის. რომ დარჩენილიყვნენ, განათლების მისაღებად ბავშვებს შატილამდე – 40 კილომეტრის გავლა ფეხით მოუწევდათ.

სხვადასხვა პრობლემების გამო, წლების წინ, ბარში გადასვლა არჩია არდოტელების უმრავლესობამაც. ადრე აქ არაერთი გვარი სახლობდა, მათ შორის: გიგაურები, ჭინჭარაულები, ზვიადაურები. დღეს ვითარება რადიკალურადაა შეცვლილი. ნიკო ფიქრობს, რომ სანამ სოფელში ერთი კაცი მაინც ცხოვრობს, მას ნასოფლარი არ დაერქმევა, თუმცა ფაქტია, რომ არდოტელები გულით ტკივილსა და შიშს დაატარებენ, ერთ დროს სხვადასხვა გვარის ხალხით დასახლებული სოფლის „დალევის“ შიშს.

მოთხრობები. გე

აქციის მონაწილე რკინიგზელები შიმშილობის აქციას წყვეტენ

რკინიგზელთა ახალი პროფკავშირი და შიმშილობის აქციის მონაწილე რკინიგზელები პროტესტის უკიდურეს ფორმას – შიმშილობის აქციას წყვეტენ.

რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

– პირველ რიგში, გვინდა მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ ადამიანს, ორგანიზაციასა თუ ჯგუფს, რომელმაც მთელი ამ ხნის განმავლობაში მხარი დაუჭირა და სოლიდარობა გამოუცხადა სისტემის მიერ ჩაგრულ უჩა ხვთისიაშვილს და რკინიგზელების ნამდვილ პროფკავშირულ მოძრაობას – რკინიგზელთა ახალ პროფესიულ კავშირს! 1-ელი აგვისტოდან მოყოლებული, საზოგადოებამ ნახა თუ რამდენად თანმიმდევრული და ადეკვატური იყო ჩვენის მხრიდან ბრძოლის ის ეტაპები, რომელიც რკინიგზელებმა გაიარეს. სამწუხარო და საგანგაშოა თავად რკინიგზის ადმინისტრაციის საპასუხო ქმედებები, რომელმაც საბოლოო ჯამში, რიგითი კოლექტიური შრომითი დავა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების სრულად იგნორირების ხარჯზე, ჩიხში შეიყვანა და საკუთარი თანამშრომლები სასიკვდილოდ გაწირა! რკინიგზელებმა ბოლო ექვსი წლის განმავლობაში არაერთი ბრძოლა გაუმართა იმ კლანურ და უპასუხისმგებლო სისტემას, რომელიც დღეს, სახელმწიფო კომპანია საქართველოს რკინიგზას ძარცვავს! ამ დრომდე გვჯეროდა, რომ ჩვენი ეს ბრძოლა, ჩაგვრისა და უკანონობის წინააღმდეგ, ევროპული ინტეგრაციისა და დემოკრატიის განვითარების გზაზე მდგარი, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისა და შესაბამისი ინსტიტუტების მხრიდან იქნებოდა მხარდაჭერილი, თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები დღემდე არ რეაგირებენ! რკინიგზის დეპარტამენტის წინ, 18-დღიანი შიმშილობის აქციამ ნათლად დაგვანახა, რამდენად ღრმად და საფუძვლიანად აქვს საქართველოში აღნიშნულ კლანურ დაჯგუფებებს ფესვები გადგმული, რამდენად გავლენიან და საშიშ ძალასთან გვიწევს დაპირისპირება! თითქმის ყველა სახელმწიფო უწყება, იარაღად იქნა გამოყენებული ერთი კახელი მუშის, რკინიგზელი უჩა ხვთისიაშვილის და ნამდვილი პროფკავშირული მოძრაობის – რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის წინააღმდეგ! ჩვენმა თავგადადებულმა ბრძოლამ – რკინიგზელებს და პირველ რიგში საზოგადოებას ნათლად დაანახა ყველა ის სისტემური ხარვეზი, რომელიც აფერხებს ჩვენს ქვეყანას ევროპულ და დემოკრატიული განვითარების გზაზე!

პროკურატურა, სუსის აგენტურა, პოლიციური რეჟიმი, სასამართლოს დამოუკიდებლობა, არაკომპეტენტური და მართული მედია გარემო, შრომისა და ჯანმრთელობის პოლიტიკა, უპასუხისმგებლო პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოხელეები, უფუნქციოდ დარჩენილი შრომის დეპარტამენტი, მედიაციის ინსტიტუტი, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია, კანონის აღსრულების მექანიზმი და ა.შ. სამწუხაროდ პრობლემების სია დაუსრულებლად გრძელდება... ქვეყნის მმართველობაში არსებული, იმ სისტემური პრობლემების დასამარცხებლად, რომელიც ცხადი და ხილული გახადა რკინიგზელების ბრძოლამ, საჭიროებს მშრომელთა მოძრაობის, პროფკავშირული გაერთიანების კიდევ უფრო გაძლიერებას. ეს კარგად ესმის იმ კლანს, რომელსაც ვუპირისპირდებით და სწორედ ამიტომ, ბრძოლის ველი, საბოლოო გამარჯვების მისაღწევად, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების მისამართით გადაიტანეს!

ბოლო დღეებში ყველამ ნათლად დავინახეთ, როგორი ბინძური და უხეში მეთოდით აპირებენ საქართველოში ნამდვილ და ევროპული საერთო პროფკავშირული მოძრაობის სამუდამოდ დასამარებას!

სწორედ ამიტომ, რკინიგზელთა ახალი პროფკავშირი და შიმშილობის აქციის მონაწილე რკინიგზელები ვაცხადებთ: 1. ვწყვეტთ პროტესტის უკიდურესი ფორმის, შიმშილობის აქციას; 2. ვიღებთ უპრეცედენტო საერთაშორისო მხარდაჭერას და ვიწყებთ არსებულ კოლექტიურ შრომით დავაზე სამართლებრივ ბრძოლას; 3. საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების დარგობრივი ორგანიზაციების ლიდერებთან ერთად, ვერთვებით პროფკავშირული მოძრაობის გადარჩენისთვის ბრძოლაში; იქნება სოლიდარობა, ყველაფერი გამოვა, – ნათქვამია განცხადებაში.

უპილოტო საჰაერო ხომალდებთან დაკავშირებით ახალი რეგულაციები ამოქმედდა

1-ელი სექტემბრიდან ეტაპობრივად ამოქმედდება „უპილოტო საჰაერო ხომალდების რეგისტრაციისა და ფრენის, აგრეთვე უპილოტო საჰაერო სისტემისა და უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციის, გამოყენებისა და შეზღუდვების წესები“.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო უპილოტო საჰაერო ხომალდების მფლობელებისა და ოპერატორებისთვის წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს კიდევ ერთხელ განმარტავს. სააგენტოს ინფორმაციით, რეგულაცია ადგენს უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციის ნორმებს და მისი მიზანია ფრენის უსაფრთხოების დაცვა საქართველოს საჰაერო სივრცეში.

წესის რეგულირების ქვეშ ექცევა სამოქალაქო ავიაციაში გამოყენებული უპილოტო საჰაერო ხომალდები.

რეგულირების ქვეშ არ ექცევა უპილოტო საფრენი აპარატები, რომელთა მასა ნაკლებია 250 გრამზე, სათამაშო უპილოტი საჰაერო ხომალდები (საფრენი აპარატი, რომელიც შექმნილია ან განკუთვნილია ბავშვებისთვის სათამაშოდ, მისი ფრენის მაქსიმალური სიმაღლე არ აღემატება 30 მეტრს მიწის ზედაპირიდან, ხოლო პოტენციური ენერგია 79 ჯოულს) და უპილოტი საჰაერო ხომალდების ექსპლუატაცია შენობაში (დახურულ სივრცეში).

რეგულაციით გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნების მიხედვით, დაუშვებელია უპილოტო საჰაერო ხომალდის მართვა დაუდევრად, რათა საფრთხეში არ ჩავარდეს ადამიანების სიცოცხლე და მათი ქონება, ასევე საფრთხე არ შეექმნას სხვა საჰაერო ხომალდს. უპილოტო საჰაერო ხომალდის პილოტი უნდა მოერიდოს უპილოტო საჰაერო ხომალდის ფრენას იმ საჰაერო ხომალდის ზემოთ, ქვემოთ ან წინ, რომლის ბორტზეც იმყოფება პილოტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი იმყოფებიან უსაფრთხო მანძილზე და მხედველობაშია მიღებული საჰაერო ხომალდის კვალზე ტურბულენტობის გავლენა. დაუშვებელია უპილოტო საჰაერო ხომალდით საქართველოს საზღვრის გადაკვეთა საგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ასევე უპილოტო საჰაერო ხომალდის ექსპლუატაცია ღია ზღვის თავზე საჰაერო მოძრაობის მართვის შესაბამისი ორგანოს თანხმობის გარეშე. უპილოტო საჰაერო ხომალდის გამოყენებისას წარმოქმნილი ნებისმიერი მოვლენის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის ან შეიძლება დაემუქროს საჰაერო მოძრაობის, ასევე, პირების და ქონების უსაფრთხოებას, უპილოტო საჰაერო ხომალდის პილოტმა/ექსპლუატანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს.

წესი ითვალისწინებს დრონების საფეხურებრივ – ღია, სპეციფიკურ და სერტიფიცირებას დაქვემდებარებულ კატეგორიებად კლასიფიცირებას, რაც მათ მფლობელებზე ვალდებულებების და პასუხისმგებლობის პროპორციულად გავრცელების წინაპირობას ქმნის.

დისტანციურად მართვადი საჰაერო ხომალდის ექსპლუატაცია „ღია კატეგორიაში“ არ საჭიროებს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანხმობას. შესაბამისად, სააგენტოს თანხმობა არ არის საჭირო, თუ იქნება დაცული „ღია კატეგორიის“ შემდეგ პირობები:

დისტანციურად მართვადი საჰაერო ხომალდის მაქსიმალური ასაფრენი მასა არ აღემატება 25 კილოგრამს;

ექსპლუატაციის სიმაღლე არ აღემატება 400 ფუტს (122 მეტრს) მიწის ზედაპირიდან;

ექსპლუატაცია ხორციელდება არაუმეტეს 54 კმ/სთ (15 მ/წმ) სიჩქარისა;

ექსპლუატაცია ხორციელდება პირდაპირი ხედვის არეში;

ექსპლუატაცია ხორციელდება საქართველოს აეროდრომებიდან არანაკლებ 6 კილომეტრის დაშორებით;

ექსპლუატაცია ხორციელდება პირის ან პირთა ჯგუფის თავზე ან ნებისმიერი პირისგან ჰორიზონტალურად არანაკლებ 50 მეტრის დაშორებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული პირი ან პირთა ჯგუფი ასრულებს ექსპლუატანტის მითითებებს და იმყოფება ექსპლუატანტის მეთვალყურეობის ქვეშ;

ექსპლუატაცია ხორციელდება საავტომობილო ან სარკინიგზო გზების თავზე და/ან მის გასწვრივ არანაკლებ 50 მეტრის დაშორებით;

ექსპლუატაცია ხორციელდება შენობა-ნაგებობიდან ჰორიზონტალურად არანაკლებ 50 მეტრის დაშორებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ექსპლუატანტი ამ შენობა-ნაგებობის მესაკუთრეა ან მიღებული აქვს თანხმობა აღნიშნული შენობა-ნაგებობის მესაკუთრისგან;

დისტანციურად მართვადი საჰაერო ხომალდის მაკომპლექტებელი ნაწილები არის ქარხნული წარმოების და არ არის მოდიფიცირებული;

დისტანციურად მართვადი საჰაერო ხომალდიდან არ ხორციელდება საგნების გადმოყრა და ნივთიერებების გაშხეფვა;

დისტანციურად მართვადი საჰაერო ხომალდით არ ხორციელდება საგნების, სახიფათო ტვირთისა და ნივთიერებების გადატანა;

დისტანციურად მართვადი უპილოტო საჰაერო ხომალდით არ ხორციელდება ბუქსირება;

არ ხორციელდება საჰაერო და საპილოტაჟო ჩვენება;

14 წელს მიუღწეველი პირის მიერ, უპილოტო საჰაერო ხომალდის ექსპლუატაცია ხორციელდება სრულწლოვანი პირის ზედამხედველობის ქვეშ.

იმ შემთხვევაში, თუ უპილოტო საჰაერო ხომალდების მფლობელების/ოპერატორების მიერ განსახორციელებელი საქმიანობა, სამუშაოების ტიპი, სერვისები და ა.შ. მოითხოვს „ღია კატეგორიისთვის“ დადგენილი ექსპლუატაციის ნორმებისგან განსხვავებულ პირობებს, მათი ოპერირება ექცევა სპეციფიკური კატეგორიის ქვეშ. დაუშვებელია დისტანციურად მართვადი საჰაერო ხომალდის ექსპლუატაცია სპეციფიკურ კატეგორიაში საგენტოსთან შეთანხმების გარეშე. პირველადი თანხმობა ექსპლუატაციაზე გაიცემა 1 წლამდე ვადით, ხოლო ყოველი მომდევნო თანხმობა გაიცემა 2 წლამდე ვადით.

საჰაერო ხომალდის ექსპლუატაცია, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა აღემატება 5 კილოგრამს, ექვემდებარება რეგისტრაციას. რეგისტრაციის მოწმობა ვარგისია უპილოტო საჰაერო ხომალდის არსებობის მანძილზე და არის უვადო. სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს უპილოტო საჰაერო ხომალდის არსებობის დადასტურება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ. მონაცემთა ბაზაში შეტანილ უპილოტო საჰაერო ხომალდს ენიჭება ამოსაცნობი 5 ციფრიანი ნიშანი. 150 კგ. და მეტი მაქსიმალური ასაფრენი მასის მქონე უპილოტო საჰაერო ხომალდის რეგისტრაცია ხორციელდება „საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის 205 ბრძანების შესაბამისად.

თუ უპილოტო საჰაერო ხომალდის მაქსიმალური ასაფრენი მასა შეადგენს ან აღემატება 150 კგ-ს, ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ხდება მოქმედი უპილოტო საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის ფლობა (სერტიფიცირებული კატეგორია).

უპილოტო საჰაერო ხომალდების ღია კატეგორიაში ექსპლუატაციისა და საჰაერო ხომალდის მოდელის ოპერირების მარეგულირებელი ნორმები ამოქმედდება 2017 წლის 1-ელი სექტემბრიდან. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში უპილოტო საჰაერო ხომალდების რეგისტრაციის, ასევე სპეციფიკურ კატეგორიაში ფრენის მოთხოვნები ძალაში შევა 2017 წლის 1-ელი ნოემბრიდან. უპილოტო საჰაერო ხომალდების სერტიფიცირებული კატეგორიის საექსპლუატაციო მოთხოვნები ამოქმედდება 2020 წლის 1-ელი იანვრიდან.

ჟინვალი-ლარსის გზამ შესაძლოა ხადას ხეობაზე გაიაროს

ჟინვალი-სტეფანწმინდა-ლარსის გზამ შესაძლოა გუდაურს გვერდი აუქციოს და ხადას ხეობაზე გაიაროს. სოფელ წკერეში გეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს იმის დასადგენად, დასაშვებია თუ არა წკერედან კობამდე 7-8 კილომეტრის სიგრძის გვირაბის მშენებლობა.

– ამ ვარიანტმა თუ გაამართლა, ქვეშეთიდან გზა ავა კაიაშაურის პლატოზე, გაუყვება ხადას ხეობისკენ და წკერედან დაიწყება გვირაბი, რომლითაც კობში გავალთ. ახალი გზის მშენებლობა იმიტომ არის საჭირო, რომ ზამთარში ჯვრის უღელტეხილზე ზვავსაშიშროების გამო ტრანსპორტის მოძრაობა აღარ შეწყდეს. მეორე ალტერნატიული მიმართულების დამუშავებაც ხდება, მლეთადან არაგვი ჰესის მიმართულებით, შემდეგ გვირაბი და გასვლა თრუსოს ხეობაში, სოფელ კობთან. კვლევები მალე დასრულდება და დოკუმენტები 2 თვეში უკვე უნდა გვქონდეს განსახილველად, – უთხრა „მთის ამბებს“ საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი სეთურიძემ.

ჟინვალი-ლარსის გზის განახლების წინასაპროექტო სამუშაოებს მსოფლიო ბანკი აფინანსებს. პროექტს ესპანური კომპანია „IDOM Consulting, Engineering, Architecture, SAU~ ახორციელებს. საპროექტო სამუშაოების ღირებულება დაახლოებით 13 მილიონი ლარია. პროექტირების დასრულების შემდეგ, ტენდერი სამშენებლო სამუშაოებზე გამოცხადდება.

ჟინვალი-ლარსის მიმართულებით 111-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა, ხოლო ქვეშეთი-კობის მიმართულებით 26-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა იგეგმება.

ხადას ხეობის სოფლები მუღურე, ქოროღო, ბენიან-ბეგონი, იუხო, როსტიანი, შარმანი, ბედონი და წკერე თითქმის დაცარიელებულია. მთელ ხეობაში მუდმივად მხოლოდ 6-7 ოჯახიღა ცხოვრობს.

მთისამბები.გე

ქუთაისის აეროპორტთან მისასვლელი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა 4 მილიონ ლარზე მეტი დაჯდება



„საქართველოს რკინიგზამ“ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტთან მისასვლელი რკინიგზის მშენებლობისთვის ტენდერი უკვე გამოაცხადა.

მისი დასრულების ვადა 15 სექტემბერია, ხოლო შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 4.088.633 ლარია.

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაოები ქუთაისის აეროპორტთან მისასვლელი სარკინიგზო ხაზის მიწის ვაკისის შემოღობვის, სარკინიგზო გადასასვლელების, ხელოვნური ნაგებობების, მაღალი და დაბალი ბაქნების მშენებლობას გულისხმობს.

გამოცხადებული ტენდერის პირობების თანახმად, რკინიგზის სამშენებლო სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 150 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა დასრულდეს.

პასტერს განვითარება უჭირს

შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ მეფრინველეობის კომპანია „პასტერს“ განვითარება უჭირს. როგორც ცნობილია, კომპანიის მიმართულება სატაბაკე წიწილების წარმოება და მათი რესტორნებში რეალიზაციაა.

კომპანიის დამფუძნებელი მირიან ჭიტაძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ კომპანიამ წარმოება მცირე რაოდენობით, გასული წლის ბოლოს დაიწყო და დღეს პროდუქციას ადგილობრივად ყიდის. მისი თქმით, კომპანია „პასტერის“ წიწილა დასაკლავ მდგომარეობას 3 თვეში აღწევს. სხვა მეფრინველეობის ფაბრიკებში კი ისეთი ჯიშის ქათამს აწარმოებენ, რომლებიც 1.5 თვეში დასაკლავია. მირჩევნია 3 თვე დაველოდო და მაღალი ხარისხის ქათამი მივიღო, ვიდრე უხარისხო, – აცხადებს ჭიტაძე.

მისი განცხადებით, კომპანიის სურვილია გაფართოვდეს და წარმადობა გაზარდოს, თუმცა ამას მთავრობის მხარდაჭერის გარეშე ვერ აკეთებს. პრობლემას უქმნის კომერციულ ბანკებში სესხებზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთებიც. – არ არის მხარდაჭერა არც მთავრობის და არც ბანკების მხრიდან. თავიდან იყო მთავრობის მხრიდან დახმარება, თუმცა, ახლა შემცირდა. ვნახოთ, მომავალში რა იქნება. ჩვენ მაინც იმედს ვიტოვებთ და წარმოებას ვაგრძელებთ, – აცხადებს ჭიტაძე.

როგორც „პასტერის“ დამფუძნებელი აცხადებს, წარმადობის გასაზრდელად კომპანიას დამატებით ახალი შენობა-ნაგებობების აშენება სჭირდება, ეს კი საკმაოდ დიდ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს.

– შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამით დაფინანსება 2015 წლის მაისში მივიღეთ. მეორედ პროგრამაში მონაწილეობის დროს კი სესხზე უარი გვითხრეს, მიზეზი არ ვიცით. თავიდან წარმოება 100 კვადრატული მეტრი მიწის ფართობზე განთავსებული მცირე საწარმოთი დავიწყეთ და დაგვაფინანსეს და ახლა 1.200 კვადრატზე აშენებულზე და აწყობილი წარმოების დაფინანსებაზე უარი მივიღეთ. რაღაც არალოგიკურია. ბანკებს კი ისეთი მაღალი პროცენტები აქვთ, რომ ჯობს ხელი არ მოკიდო, თავიდანვე გაკოტრებას ნიშნავს, – აცხადებს ჭიტაძე.

პასტერის ქარხანა იმერეთში, საჩხერის რაიონის სოფელ ჭალაში მდებარეობს. კომპანიამ 2015 წლის მაისში აგროკრედიტების პროგრამაში მიიღო მონაწილეობა და 66 000 დოლარით დაფინანსდა. ამ ეტაპზე კომპანია ისეთ დიდ რესტორნების ქსელებს ამარაგებს, როგორიცაა „თაღლაურა“, „წისქვილი“ და სხვა. კომპანია კვერცხის და წიწილების რეალიზაციას საჩხერეში და ჭიათურაშიც ახდენს.

განცხადებები

● მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

●სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობამამაკაცებისათვისგარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლაგახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

„ჩრდილოეთ კორეის პრობლემა სამხედრო გზით ვერ მოგვარდება“

ლავროვი ტილერსონს დაუკავშირდა

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აშშ-ის სახელმწიფო მდივან რექს ტილერსონს დაუკავშირდა.

საუბრის თემა კორეის ნახევარკუნძულზე შექმნილი მდგომარეობა იყო.

მხარეებმა შექმნილი სიტუაციის გამო შეშფოთება გამოთქვეს. საქმე ჩრდილოეთ კორეის მიერ იაპონიის მიმართულებით გაშვებულ რაკეტას შეეხებოდა. პრეზიდენტ ტრამპის განცხადებამ, ჩრდილოეთ კორეასთან ლაპარაკს აზრი არა აქვსო, ბევრი შეაშფოთა. სიტყვას საქმეც მოჰყვა. ჩრდილოეთ კორეის საზღვართან აშშ-იაპონია-სამხრეთ კორეის ერთობლივი სამხედრო წვრთნები დაიწყო. ამას ჩრდილოეთ კორეის მწვავე რეაქცია მოჰყვა.

– არსებული წვრთნები სხვა არაფერია, თუ არა ჩრდილოეთ კორეაში შეჭრისთვის სამზადისი, – განაცხადა კიმ ჩენ ინმა.

დიქტატორი კვლავ დაიმუქრა, რომ კუნძულ გუამზე მდებარე ამერიკულ ბაზაზე სარაკეტო დარტყმას განახორციელებდა. პასუხად გუამზე მდებარე ამერიკულ ბაზაზე სრული სამხედრო მზადყოფნა გამოცხადდა.

– ჩვენ შეგვიძლია ჩრდილოეთ კორეის რაკეტები ჰაერიდან ჩამოვაგდოთ, – თქვა პრეზიდენტმა ტრამპმა.

სერგეი ლავროვმა თავის ამერიკელ კოლეგასთან საუბარში განაცხადა, რომ სამხედრო მეთოდებით პრობლემა ვერ გადაწყდება. აუცილებელია ხანგრძლივი პოლიტიკური დიალოგი. ტილერსონი დაეთანხმა.

– აშშ სწორედ ასეთ დიალოგს აწარმოებს და ეს მომავალშიც გაგრძელდება, სამხედრო მეთოდებით პრობლემა ვერ გადაწყდება, მაგრამ დიალოგს დიალოგისთვის აზრი არა აქვს. თუკი მოპირდაპირე მხარე არ დარწმუნდა, რომ ძალის გამოყენებაზე უკან არ დავიხევთ, რეალურ მოლაპარაკებებზე არ წამოვა, – თქვა ტილერსონმა.

კორეის გარშემო შექმნილ სიტუაციას ვლადიმერ პუტინიც გამოეხმაურა. კრემლის საიტზე გამოქვეყნებულ სტატიაში რუსეთის პრეზიდენტი წერს:

– სიტუაცია საშიშ ზღვარს მიუახლოვდა! მასშტაბური კონფლიქტის საფრთხე რეალურია! ჩრდილოეთ კორეაზე ძალისმიერი ზეწოლა უნდა შეწყდეს!

პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი მზადაა, ამჟამინდელ მძიმე ვითარებაში აშშ-ის მხარში ამოუდგეს, თუმცა თანამშრომლობას ხელს უშლიან სანქციები.

– ჩვენ ამერიკასთან პარტნიორობა გვსურს, მაგრამ სანქციები ამას ხელს უშლის, – ამბობს პუტინი.

ტრამპმა ტეხასელებს მილიონი დოლარი გადაურიცხა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ტეხასელებს თავის პირადი ქონებიდან მლნ დოლარი გადაურიცხა. ეს თანხა სტიქიით დაზარალებულთ მოხმარდება.

– ასეთი გაჭირვების ჟამს მე ჩემი ხალხის გვერდთ ვდგავარ! – განაცხადა ტრამპმა.

აშშ რუსეთისგან სან-ფრანცისკოში საკონსულოს დახურვას მოითხოვს

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ნოიერტმა განაცხადა, რომ რუსეთმა სან-ფრანცისკოში საკონსულო უნდა დახუროს. რუსებმა ეს მოთხოვნა 2 სექტემბრამდე უნდა შეასრულონ.

– რუსეთიდან ჩვენი დიპლომატების გამოძევება უპასუხოდ არ დარჩება! ეს ყველამ უნდა იცოდეს, – თქვა ნოიერტმა.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ გადაწყვეტილება საკონსულოს დახურვის შესახებ პირადად ტრამპმა მიიღო.

– ეს პრეზიდენტის გადაწყვეტილებაა, – განაცხადა ნოიერტმა.

კრემლი პუტინისთვის კონკურენტს ეძებს

2018 წლის გაზაფხულზე რუსეთის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება. იმაში, რომ ვლადიმერ პუტინი გაიმარჯვებს, ეჭვი არავის ეპარება. რუსეთის პრეზიდენტის რეიტინგი 77%-ია. თუმცა საარჩევნო შოუს მაყურებელი ჰყავს, რომელიც გარკვეული ბრძოლის იმიტირებას მოითხოვს. კრემლიც ეძებს კანდიდატებს, რომლებიც საამისოდ გამოდგებიან.

– სავარაუდოდ, პუტინის კონკურენტი ქალი უნდა იყოს, – წერს „ვედომოსტი“.

გაზეთის ცნობით, რუსეთის პრეზიდენტის შესაძლო ალტერნატივად 7 ქალი განიხილება. აქედან ყველაზე რეალურია 3: ნატალია ველიკაია, ირინა ვოლნეცი, ირინა პეტელიაევა.

ერაყი ტერორისტებისგან გაწმენდილია

ერაყის პრემიერმა აბადიმ განაცხადა, რომ დასრულდა ნინევიის პროვინციის ტერორისტებისგან გაწმენდის ოპერაცია. ეს პროვინცია იყო უკანასკნელი, რომელსაც ისლამური სახელმწიფო აკონტროლებდა.

– ერაყის ტერიტორიაზე ისლამური სახელმწიფოს ბანდები განადგურებულნი არიან, – განაცხადა აბადიმ.

პრემიერმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ დამშვიდებამდე ჯერ შორსაა. აუცილებელია ტერიტორიის განაღმვა, აგრეთვე მიმალული ტერორისტების შეპყრობა.

– ტერორისტები ერაყის ვერც ერთ პროვინციას ვეღარ აკონტროლებენ, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მათი უამრავი იატაკქვეშა ორგანიზაცია მოქმედებს. აუცილებელია მათი მხილება. სანამ ეს არ მოხდება, თავს მშვიდად ვერ ვიგრძნობთ, – ამბობს აბადი.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

იგორ სმეშკო: „ყირიმი უკრაინას აუცილებლად დაუბრუნდება“

უკრაინის სამხედრო დაზვერვისა და უშიშროების სამსახურის ექს-შეფმა იგორ სმეშკომ განაცხადა, რომ ყირიმი უკრაინას აუცილებლად დაუბრუნდება. სმეშკომ აღნიშნა, რომ საგარეო პროცესები, რომლებიც დღეს ვითარდება, ყირიმის დაბრუნებას ხელს უწყობს, თუმცა მარტო ეს არ კმარა.

– აუცილებელია ძლიერი უკრაინული სახელმწიფოს აშენება, რომელსაც ექნება სამხედრო, ეკონომიკური და დიპლომატიური რესურსები. ამ კომპონენტების ერთობლიობა განაპირობებს იმას, რომ ყირიმს დავიბრუნებთ, – თქვა სმეშკომ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

თამრიკო ჭოხონელიძე საზოგადოებას აკრიტიკებს

მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე საზოგადოებას აკრიტიკებს და მათ მიერ სხვისი ცხოვრების განსჯას აპროტესტებს. მომღერალი მაია ასათიანს მხარდაჭერას უცხადებს და მოუწოდებს ყველას, საკუთარ საქმეებს მიხედონ.

თამრიკო ჭოხონელიძე:

– აღარ უნდა დამთავრდეს სხვის ცხოვრებაში ასე უნამუსოდ ჩარევები?! მოასვენეთ ეს ადამიანი! დატოვეთ მის ტკივილთან მარტო!

ვინ ხართ?! რა ხალხი ხართ?! დაავადდა ერი! ერთი ადამიანიც კი თუ გამოერია ისეთი, რომელიც თავს უფლებას აძლევს ასე ჩაერიოს სხვის ცხოვრებაში, თან ასეთი ტრაგიკული ადამიანის ცხოვრებაში, საჯაროდ გაკიცხოს და „ასწავლოს“, როგორ უნდა იცხოვროს, ავად ვართ, აბა რა!

წადით, თქვენს საქმეს მიხედე! მაგრამ რა საქმეს უნდა მიხედოთ, რაც არ გაქვთ! სიძულვილს მაინც მოერიეთ და გაჩუმდით! თორემ სიყვარულით რომ ვერ დაამარცხებთ თქვენს სენს, ეს ფაქტია!

ზურა ყიფშიძე „მეფე ლირს“ ისრაელში ითამაშებს

ზურა ყიფშიძე „მეფე ლირს“ ისრაელში ითამაშებს. დასი უკვე გაფრინდა და სპექტაკლი 2 სექტემბერს ბეერ-შევას ფესტივალის ფარგლებში იქნება წარმოდგენილი. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალმა „საჩუქარი“, თუმანიშვილის თეატრმა, ბერშევას საერთაშორისო ფესტივალმა, ბეერ-შევას საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრმა და ნეგევის დედაქალაქის ადმინისტრაციამ თანამშრომლობა უკვე დაიწყო.

წლევანდელი ბეერ-შევას ფესტივალის სტუმარი, ებრაული საზოგადოების რჩეული წარმოდგენა რეჟისორ ზურაბ გეწაძის მიერ დადგმული „მეფე ლირი“ გახდა, რომელიც ნეგევის დედაქალაქმა განსაკუთრებული მასპინძლობითა და ნიშნით სამხრეთ ისრაელის საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრში მიიპატიჟა. 2 სექტემბერს წლის საუკეთესო მსახიობი საქართველოსი, ზურა ყიფშიძე ისრაელის ძველისძველ მიწაზე, ბეერ-შევას ხელოვნების ცენტრში შექსპირის ყველაზე ფილოსოფიურ და მისტიურ ტრაგედიას ითამაშებს. რასთან დაკავშირებითაც ისრაელის სხვადასხვა ქალაქებიდან სპეციალურად ჩავლენ „მეფე ლირის“ მაყურებელი და ებრაული კულტურული კერის დამფუძნებლები, ისევე, როგორც ადგილზე მცხოვრებ ქართველებს და საქართველოს, კიდევ ერთხელ მიეცემა სადღესასწაულო მიზეზი, სიხარულით აღნიშნოს ქართულ-ებრაული ურთიერთობის 26 საუკუნე! თუმანიშვილის თეატრის დასი მიპატიჟებულია იერუსალიმშიც, წმინდა მიწაზე მოსალოცად.

ბეერ-შევას საერთაშორისო ხელოვნების ფესტივალი ისრაელში ქვეყნის სამხრეთ კულტურული კერა და ყველაზე დიდი სახელოვნებო მოვლენაა. ფესტივალი თავისი არსებობის მანძილზე ქართულ თეატრს პირველად უმასპინძლებს.

ბლექ სი არენაზე ფლამენკოს ვარსკვლავები იცეკვებენ

2 სექტემბერს შავი ზღვის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ფლამენკოს ვარსკვლავები იცეკვებენ. ფესტივალის დახურვაზე მაყურებლის წინაშე ესპანელი მოცეკვავე ლეგენდარული ლა მონეტა წარდგება.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით ჩატარებული ფესტივალის ბოლო დღე ყველაზე მრავალფეროვანი ფოლკლორული საღამო იქნება, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის უნიკალურ ხალხურ ტრადიციულ მუსიკასა და ცეკვას გააერთიანებს.

საქართველოს ფესტივალის გალა კონცერტზე ანსამბლები „რუსთავი“ და „ბასიანი“ წარმოადგენენ.

ბათუმში ელისო ბოლქვაძის ფესტივალი იწყება

2 სექტემბერს ბათუმში მეხუთედ გაიხსნება კლასიკური მუსიკის საერთაშორისო საიუბილეო ფესტივალი ბათუმი მიუზიქ ფესტ. ფესტივალი იუნესკოს მაღალი პატრონაჟით გაიმართება და მასში მონაწილეობას მიიღებენ უმაღლესი დონის მუსიკოსები და ახალგაზრდა ტალანტები: ელისო ბოლქვაძე, ლისტის ორკესტრი, პეტრო დე მარია, დავით მუქერია, მიშელ სონი, ალექსანდრა მასალევა, ქართული ხმები, ანა ყიფიანი, მურმან ჯინორია, ნატანაელ გუანი, ალექსანდრე ჩაუშიანი, დავით ალადაშვილი და ბათუმის სიმფონიური ორკესტრი.

ელისო ბოლქვაძე, ბათუმის მუსიკალური ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი:

– 2-8 სექტემბერს, საოცნებო ზღვისპირა ქალაქ ბათუმში, წელს მეხუთედ ტარდება კლასიკური მუსიკის საერთაშორისო საიუბილეო ფესტივალი. მოხარული ვარ, რომ ფესტივალი წელს გაიმართება „იუნესკოს“ მაღალი პატრონაჟით. ფესტივალი წარმოადგენს საქართველოს კულტურის სამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთობლივ პროექტს. მსურს ასევე მადლობა გადავუხადო საერთაშორისო მისიებს და საელჩოებს საქართველოში, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ ფესტივალთან. ფესტივალზე მოწვეულნი არიან უმაღლესი დონის მუსიკოსები და ახალგაზრდა ტალანტები. როგორც იუნესკოს მშვიდობის არტისტს, მჯერა, რომ მუსიკის ენით შესაძლებელია სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანების გაერთიანება მშვიდობის იდეის ირგვლივ, რაც მნიშვნელოვანია დღევანდელი მსოფლიოსთვის. ბათუმის მუსიკალური ცენტრის საკონცერტო დარბაზი მუსიკის მოყვარულებს დაუვიწყარ გარემოს შეუქმნის.

ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი 8 სექტემბერს გალა კონცერტით დაიხურება.

ავთო აბესლამიძეს ბათუმობაზე არ ამღერებენ

გიორგი ნაკაშიძესთან ერთად ბათუმობაზე არც ავთო აბესლამიძეს ამღერებენ. ინფორმაცია მომღერალმა ამის შესახებ თავად გაავრცელა:

– ბათუმში, ბათუმობაზე, თან ბათუმელი მომღერალი არ ვმღერი. საინტერესოა, რატომ?! ბათუმის მერია ბრავო!

სამაგიეროდ, ავთოს და გიორგის გულშემატკივრებს მათი მოსმენა 3 სექტემბერს ერთ-ერთ კაფეში შეეძლებათ:

– ჩემო მეგობრებო და გულშემატკივრებო, ვკითხულობდი ეს 2 დღეა თქვენს კომენტარებს დაა აზრებს, ძალიან მიხარია, რომ არსებობთ... მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გვამღერებენ კონცერტზე, ამიტომ 3 სექტემბერს ჩემი და გიორგის ერთობლივი საღამო იქნება კაფე „ბოტანიკოში“. ჩვენ თქვენთვის ვიმღერებთ... გელოდებით.

ბათუმობას ადგილობრივები 2 და 3 სექტემბერს იზეიმებენ. „ბათუმობა 2017“ საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამით იქნება წარმოდგენილი. ამისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან 210.925 ლარი გამოიყო. ღონისძიებები ძირითადად მემედ აბაშიძის გამზირსა და ევროპის მოედანზე ჩატარდება.

მთავარი სანახაობა დროშების ზოლებით მორთული ხეივანი იქნება, სადაც საქართველოს, აჭარისა და ევროკავშირის დროშები გამოიფინება, მოეწყობა სარკის ინსტალაციები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, ფოტოსტენდები და მოცულობითი ასოებით აწყობილი ბათუმის ინსტალაცია. ქალაქის მცხოვრებლებისა და სტუმრებისთვის გაიმართება თოჯინების თეატრის წარმოდგენები, ვეშაპის ინსტალაცია შადრევანი, სახალისო ფოტოსტენდები და საბავშვო გასართობი აქტივობები.

ბათუმობის პირველ დღეს ევროპის მოედანზე ადგილობრივი მუსიკალური ბენდები დაუკრავენ, საღამოს კი, ევროპის მოედანზე ბათუმის ჯაზ ბიგბენდის კონცერტი ჩატარდება. დასკვნითი, გალა ღონისძიება კი ევროპის მოედანზე 3 სექტემბერს გაიმართება და მასში მონაწილეობას ქართული ესტრადის წარმომადგენლები მიიღებენ: ჯგუფი „ურსა“, ნოდიკო ტატიშვილი, დათუნა მგელაძე, თამთა ჭელიძე, ნიკო ბერიძე, ზვიად ბოლქვაძე, სოფო ხალვაში, ჯგუფი „რეზო და ბავშვები“, ბორის შხიანი, ალეკო ბერძენიშვილი და დავით ფორჩხიძე კი მსმენელის წინაშე ერთობლივი პროექტით წარდგებიან.

„ღამის სერენადები“ თბილისში დაიხურა

ლიანა ისაკაძის მიერ დაარსებულმა საერთაშორისო მუსიკალურმა ფესტივალმა „ღამის სერენადები“ ბათუმიდან თბილისში გადმოინაცვლა და დასკვნითი გალა კონცერტი რუსთაველის თეატრში გამართა. კლასიკური მუსიკის მოყვარულებისთვის აჟღერდა შუბერტის სიმებიანი კვინტეტი გადამუშავებული სიმებიანი ორკესტრისათვის, ვივალდის კონცერტი ვიოლინოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის, ჩაიკოვსკი-ცინცაძის „მელანქოლიური სერენადა“, „მელოდია“, „ვალს-სკერცო“, სენ-სანსის „ინტროდუქცია და რონდო კაპრიჩიოზო“ გადამუშავებული ვიოლინოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის. ორკესტრს „მსოფლიო ვირტუოზები“ გერმანელმა დირიჟორმა იუსტუს ფრანცმა უდირიჟორა.

ფესტივალი ბათუმში გალა კონცერტით გაიხსნა, სადაც ტრაგედია დატრიალდა. პირველი განყოფილების შემდეგ, გულის შეტევით ლიანა ისაკაძის მეუღლე თამაზ ჩაჩავა გარდაიცვალა. ასეთი დიდი ტრაგედიის მიუხედავად, ლიანა ისაკაძემ ფესტივალის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო და ყველა დაგეგმილი კონცერტი მის გარეშე მაინც ჩატარდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

წითელი ბარათი 22 ფეხბურთელს

უცნაური ფაქტები სპორტულ სამყაროში

სპორტულ სამყაროში მრავალი უცნაური ფაქტია დაფიქსირებული და გვინდა რამდენიმე მათგანი თქვენამდე მოვიტანოთ.

1998 წელს ინტერში გადასულმა რობერტო ბაჯომ თავისი საყვარელი მე-10 ნომრით თამაში მოითხოვა და ნომერი რონალდომ დაუთმო, მაგრამ სამაგიეროდ მე-9 ნომერი მოითხოვა, რომლითაც ჩილელი ფეხბურთელი ივან სამორანო თამაშობდა. ამ უკანასკნელმა, ნომერი 18 აიღო, მაგრამ 1-იანსა და 8-იანს შორის + ჩაამატებინა.

როდესაც შოტლანდიურმა საფეხბურთო კლუბმა აბერდინმა კონტრაქტი მაროკოელ ჰიშამ ზერუალისთან გააფორმა, გულშემატკივრებმა, გვარის პირველი ბგერის მიხედვით, „ზერო“ შეარქვეს. ამიტომ, ზერუალი ნომერი 0-ით თამაშობდა ერთი სეზონი, ხოლო მომდევნო სეზონში, შოტლანდიის და ინგლისის ფეხბურთის ფედერაციებმა ასეთი ნომრით გამოსვლა აკრძალეს.

ერითრეა ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანა არის მსოფლიოში და მკაცრი რეჟიმით გამოირჩევა აფრიკის სხვა სახელმწიფოების ფონზეც კი. 2009 წელს კენიაში გამართული ტურნირის დროს, ერითრეას 12 ფეხბურთელი გაიქცა, 2 წლის შემდეგ, კიდევ 13-მა ფეხბურთელმა მიბაძა მათ საქციელს. გაქცევა ამჯერად ტანზანიაში მოხდა. ხოლო 2012 წელს მთელი საფეხბურთო გუნდი გაქრა, ექიმთან ერთად. შემდეგ წელს, კიდევ 11 ფეხბურთელი და მთავარი მწვრთნელი გაიქცა ქვეყნიდან. ამის მიუხედავად, ერითრეა ფეხბურთის ასოციაცია პოზიციებს არ თმობს და ისევ აგრძელებს ქვეყნის ნაკრების დაკომპლექტებას ახალი ფეხბურთელებით.

ანდრეს ესკობარმა, კოლუმბიის საფეხბურთო ნაკრების მცველმა, 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, აშშ-ის ნაკრებთან შეხვედრის დროს, ავტოგოლი გაიტანა საკუთარი გუნდის კარში. შეხვედრის წაგების შემდეგ, ნაკრები ჯგუფიდან ვერ გამოვიდა და სამშობლოში დაბრუნდა. რამდენიმე დღის შემდეგ, ესკობარი თავისავე მანქანაში უმბერტო მუნის კასტრომ მოკლა. მან ფეხბურთელს 12-ჯერ ესროლა, თან ყოველი გასროლის წინ ყვიროდა – გოოოლ! გოოლ...

ფეხბურთელს 6 ტყვია მოხვდა და საავადმყოფოში გადაყვანიდან 45 წუთის შემდეგ გარდაიცვალა, ხოლო მისი მკვლელი დაიკავეს და 43 წელი ციხე მიუსაჯეს.

1900 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, ამერიკელმა მარგარეტ ებოტმა გოლფში შეჯიბრი მოიგო და აშშ-ის პირველი ოლიმპიელი ჩემპიონი გახდა. თუმცა, იმის გამო, რომ ოლიმპიადა პარიზში ცუდად იყო ორგანიზებული, სპორტსმენმა არ იცოდა, რომ მონაწილეობას ოლიმპიადაში იღებდა, ისევე, როგორც შეჯიბრში მონაწილე სხვა გოლფისტებმა. მაშინაც კი, როდესაც სამშობლოში ბრუნდებოდა, ებოტი დარწმუნებული იყო, რომ მონაწილეობა პარიზში გამართულ მსოფლიო გამოფენასთან დაკავშირებულ ტურნირში მიიღო.

2002 წელს მადაგასკარის 2 საფეხბურთო კლუბი ადემა და ოლიმპიკი ქვეყნის ჩემპიონობის ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოდნენ. ამ გუნდების პირველი შეხვედრა, ბოლო წუთზე განხორციელებული საკამათო საჯარიმოს გამო ოლიმპიკმა ფრედ დაასრულა და ჩემპიონობის შანსი დაკარგა. განმეორებით შეხვედრაზე, პროტესტის ნიშნად, ოლიმპიკმა, მატჩის დაწყებისთანავე, ბურთების გატანა საკუთარ კარში დაიწყო და შეხვედრა 149:0 წააგო. ეს ყველაზე შედეგიანი მატჩია ფეხბურთის ისტორიაში.

ახალზელანდიელი სპორტსმენი მიურეი ჰელბერგი ახალგაზრდობაში რაგბისტი იყო. მაგრამ, ერთ-ერთი მატჩის დროს, მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც, მისი მარცხენა ხელი სამუდამოდ პარალიზებული დარჩა. თუმცა, ჰელბერგმა არ მიატოვა დიდი სპორტი და სირბილში დაიწყო ვარჯიში. ის თავს არ ზოგავდა და 1960 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, რომში, 5.000-მეტრიან დისტანციაზე, ოლიმპიური ოქრო მოიპოვა.

ფორმულა-1-ის ავტოშეჯიბრი ერთადერთი სპორტია, რომელშიც ქალებს და კაცებს ერთად შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. თუმცა, ჯერჯერობით არც ერთ ქალ სპორტსმენს სპორტის ამ სახეობაში მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია.

ინგლისელმა ფეხბურთელმა სტენლი მეთიუზმა თავის 50-წლიანი საფეხბურთო კარიერის მანძილზე, 700-ზე მეტ მატჩში მიიღო მონაწილეობა და არც ერთი გაფრთხილება არ მიუღია. ის რამდენჯერმე გახდა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. გამოსათხოვარ მატჩზე, ინგლისის დედოფალმა ელიზაბეთ მეორემ მას რაინდობა უბოძა, ეს პირველი ასეთი შემთხვევა იყო, სპორტის ისტორიაში.

1924 წელს ძმებმა ადოლფ და რუდოლფ დასლერებმა ფირმა დააარსეს, რომელიც სულ მალე მსოფლიო ლიდერი გახდა სპორტული ფეხსაცმლის წარმოებაში. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ძმებმა იჩხუბეს და ბიზნესი შუაზე გაიყვეს. ადოლფმა თავის ფირმას ადიდასი დაარქვა (ადი დასლერიდან), რუდოლფმა – რუდა (რუდი დასლერიდან), ხოლო მოგვიანებით, სახელი შეუცვალა და პუმა უწოდა. გერმანული ქალაქი, სადაც ეს ორი ფირმა არის განთავსებული, დღემდე ორ ნაწილად არის გაყოფილი, რომლის მცხოვრებლები ერთმანეთს ვერ იტანენ.

ესპანეთის მეორე ლიგის ერთ-ერთ მატჩში, თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე, მსაჯობით უკმაყოფილო ორივე გუნდის ფეხბურთელები, არბიტრს შემოეხვივნენ და პროტესტს მხოლოდ სიტყვებით კი არა, ჟესტებითაც გამოხატავდნენ. ამ კრიტიკულ სიტუაციაში, მსაჯმა სრული სიმშვიდე შეინარჩუნა და წითელი ბარათი მატჩში მონაწილე 22 ფეხბურთელს აჩვენა.

პოლონელმა სპორტსმენმა ქალმა, სტანისლავა ვალასევიჩმა 1932 წლის ოლიმპიადაზე 100 მ სირბილზე მხოლოდ ოქროს მედალი კი არ მოიპოვა, მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ, 1980 წელს, სხეულის გაკვეთის დროს გაირკვა, რომ ის მამაკაცი იყო.

1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ნიდერლანდების ნაკრებმა ფინალამდე 14 ბურთი გაუტანა მოწინააღმდეგეებს, ხოლო თავის კარში, მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა, ისიც ავტოგოლი იყო, რომელიც რუდა კროლმა შეაგდო. გუნდმა სპონსორებისგან მოითხოვა, რომ კროლისთვის პრემია მიეცათ გოლის გატანის გამო, რადგან კონტრაქტში არაფერი იყო ნათქვამი ავტოგოლების შესახებ. ამ შემთხვევის შემდეგ, სპონსორები ყოველთვის აკონკრეტებენ, რომ ავტოგოლები, პრემიის გაცემის დროს, მხედველობაში არ მიიღება.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ქართული გაკვეთილი ლიტვას

ლიტვა-საქართველო 77:79
18:18, 21:16, 18:25, 20:20

მატჩის ბოლო წამზე იონას მაჩიულისმა სამქულიანი ისროლა, ააცილა და საქართველოს ნაკრებმა ევრობასკეტზე ყველაზე ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვა. მაჩიულისი ველარ გახდა გმირი, როგორც 2 წლის წინ ევროპის ჩემპიონატზე... მაშინ ლიტვამ მერვედფინალში მოგვიგო და გზა გადაგვიკეტა.

ისრაელში საქართველოს რიგი იყო – ჩვენებმა მოიგეს, ლიტვას აჯობეს, გუნდს, რომელიც ევრობასკეტის ფავორიტთა შორის მოიაზრება. მოიგო ილიას ზუროსმა, რომელმაც სხვადასხვა ტაქტიკა შესთავაზა თავის ვიზავის. ქართველთა ბერძენმა მწვრთნელმა ისეთი ზუსტი გადაწყვეტილებები მიიღო, რომ ჩიხში შესული საქართველოს ნაკრები უხერხული სიტუაციიდან გამოიყვანა და მოგების გზაზე დააყენა. დროულ შეცვლებთან ერთად, მწვრთნელმა თამამი ტაქტიკური მანევრებიც ჩაატარა, რამაც გაამართლა. ზუროსმა ნაკრებს კარიერის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი მოაგებინა, პირადად კი ადომაიტისს სამწვრთნელო დუელი მოუგო.

საქართველოს ნაკრები ძლიერი წინა ხაზით არის ცნობილი, მაგრამ ლიტველებს არანაკლებ ძლიერი მაღლები ჰყავთ. იონას ვალანჩუნასი ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გამორჩეული ცენტრია და პირველ ტაიმში მართლაც გაჭირდა მისი შეჩერება, მაგრამ მესამე პერიოდში ფოლებით დამძიმებული ზაზა ენერგიულად და გონივრულად დაუდგა და ვალანჩუნასმა მეორე ტაიმში ერთადერთი ქულა ჩააგდო...

ცუდი იყო, რომ საკუთარი ფარი წავაგეთ, მაგრამ დაცვაში ყურადღებიანი თამაშით ეს ნაკლი აღმოიფხვრა და საბოლოოდ გამარჯვებამდე მივედით. საქართველოს ნაკრებმა ბოლოს და ბოლოს, გამოასწორა პერიმეტრის დაცვა. ლიტვამ ჯამში 8 სამიანი ჩააგდო, მაგრამ ბევრი, 27 სტყორცნა. ჩვენი უკანახაზელები კარგად ავიწროვებდნენ მეტოქის დაბლებს და ამიტომაც არ რჩებოდათ ლიტველებს სამქულიანებისთვის თავისუფალი სივრცე.

ლიტვას წინა ამხანაგური მატჩისგან განსხვავებით, დღეს დამატებით 3 ვარსკვლავი ჰყავდა – იონას ვალანჩუნასი, მანტას კალნიეტისი და იონას მაჩიულისი.

პირველი პერიოდი ფრედ – 18:18 დასრულდა. უმეტეს წილად წინ ლიტველები იყვნენ, ქართველები კი გაბათილებას ცდილობდნენ და ეს მეოთხედის ბოლოს მოახერხეს კიდეც.

მეორე პერიოდი ლიტველებმა 8:0 გაქცევით დაიწყეს. მანტას კალნიტისმა და არტურას მილაკნისმა სამქულიანები ჩააგდეს, რასაც ილიას ზუროსის წუთშესვენება მოჰყვა. დუდა სანაძემ სამქულიანი კი ჩააგდო, მაგრამ მეტოქის საპასუხო შეტევის შემდეგ არასპორტული ჯარიმა მიიღო და ლიტველებმა ერთ შეტევაში 4 ქულა მოიპოვეს, რასაც ზუროსის ტექნიკური ჯარიმა მოჰყვა, რაც ლიტველებმა კიდევ 3 ქულად აქციეს და 12 ქულით – 33:21 დაწინაურდნენ. აქ იმაზე უარესი რამ მოხდა, რაც ორნიშნა რიცხვით ჩამორჩენა იყო. სათამაშო ეპიზოდში გიორგი ცინცაძემ ფეხის ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა. ზუროსს



სათადარიგოების გამოყვანა მოუხდა, რომლებიც თამაშის რიტმში კარგად ჩაჯდნენ და დიდ შესვენებამდე საქართველო ისე მივიდა, ჩამორჩენის შემცირება მოახერხა – 34:39.

შესვენების შემდეგ თამაში ქართველების შედეგიანობით დაიწყო. მაიკლ დიქსონის ორქულიანს თორნიკე შენგელიამ ეფექტურად ჩატენილი ბურთი მოაყოლა. დუდა სანაძისა და ზაზა ფაჩულიას ქულების შემდეგ კი საქართველომ 12-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილა და პირველ წუთზე დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა – 42:40 მესამე პერიოდის დასრულებამდე 7:40 წუთით ადრე.

აქედან წავიდა ქულა-ქულაში და ამავდროულად ნერვების თამაში. ლიდერი მორიგეობით და ხშირად იცვლებოდა. მესამე პერიოდის დასრულებამდე 4:30 წუთით ადრე ზაზა ფაჩულიამ მე-4 პერსონალური ჯარიმა მიიღო. მის ნაცვლად მოედანზე გიორგი შერმადინი დაბრუნდა. რამდენიმე წუთში ზუროსმა ფაჩულია მოედანზე დააბრუნა, თუმცა შერმადინი თამაშიდან არ გაუყვანია და საქართველომ ლიტვის მძლავრ ნაკრებთან თამაში 2 ნომინალური ცენტრით განაგრძო. ბალტიელთა მწვრთნელმა მოედნიდან ძირითადი ცენტრი იონას ვალანჩუნასი გაიხმო, თუმცა ჩვენს მაღლებთან საბრძოლველად მოტეიუნასი და გუდაიტისი დატოვა. მაღლების ჯახში საქართველომ იძალა და ფაჩულიასა და შერმადინის მექულეობით პერიოდის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 56:53 დაწინაურდა. გამართული თამაშის წყალობით ქართველები გადამწყვეტი პერიოდის წინ 59:57 დაწინაურდნენ.

მეოთხე პერიოდის საწყის წუთნახევარში მარტინას გეჩევიჩუსისა და მინდაუგას კუზმინსკასისგან ქართველებმა 2 სამქულიანი მიიღეს, მაგრამ მანუჩარ მარკოიშვილმაც ჩააგდო შორეული ორქულიანი, რასაც ქართველებისთვის ძალიან კარგი ამბავი მოჰყვა. ლიტველები შენგელიაზე დაჯარიმდნენ, რაც გააპროტესტეს და ტექნიკურიც დაიმსახურეს. შენგელიამ სამივე საჯარიმო ჩააგდო და იმავე შეტევაში ორიანიც მიითვალა (5 ქულა 5 წამში), რამაც ქართველები 68:65 დაწინაურა. ლიტველები არ ჩამორჩნენ და კუზმინსკასის სამქულიანით ანგარიში ჯერ გაათანაბრეს, შემდეგ კი წინაც გავიდნენ – 70:68 დასრულებამდე 6:30 წუთით ადრე.

თორნიკე შენგელია ლიტველებისთვის შეუჩერებელი იყო. მისმა მიჯრით მითვლილმა 4-მა ქულამ და გრანდიოზულმა „სლემ-დანქმა“ საქართველო 72:70 დააწინაურა. ქულა-ქულაში თამაში ბოლო წუთამდე გაგრძელდა. მარკოიშვილის ორქულიანით ჩვენი გუნდი ბოლოსწინა წუთზე 2 ქულით დაწინაურდა, რის შემდეგაც ქართველებმა დაცვაში ბურთი მოიპოვეს და მაიკლ დიქსონმა დასრულებამდე 20 წამით ადრე ინდივიდუალური გარღვევით ჩვენები 78:74 დააწინაურა.

დარჩენილ დროში ლიტველებმა მინიმუმამდე შეგვიმცირეს ჩამორჩენა, თუმცა იმავ დიქსონმა 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და როცა ქართველებმა ლიტველთა ბოლო შეტევაც მოიგერიეს, გამარჯვებაც გამოცხვა – 79:77.

საქართველოს ნაკრებში საუკეთესო იყო თორნიკე შენგელია, რომელმაც 29 ქულა მიითვალა. 13 ქულა და 3 ჩაჭრა ჰქონდა დუდა სანაძეს, მაიკლ დიქსონის ანგარიშზე კი 12 ქულა და 7 პასი დაგროვდა. ზაზა ფაჩულიას ორმაგ დუბლამდე 2 ქულა დააკლდა. ნაკრების კაპიტანმა შეხვედრა 8 ქულით, 10 მოხსნით და 3-3 ჩაჭრა-პასით დაასრულა.

საქართველოს ნაკრები, ისევე, როგორც ისრაელში შეკრებილი სხვა გუნდები, 1-ელ სექტემბერს დაისვენებს. მომდევნო მატჩი ილიას ზუროსის გუნდს 2 სექტემბერს, გერმანიასთან ელის.

ილიას ზუროსი:

– კმაყოფილი ვარ ჩემი კალათბურთელებით, მათ გმირულად იბრძოლეს და ეს გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა. ეს იყო გემრიელი, მაგრამ ჩვეულებრივად 2 ქულის მომტანი გამარჯვება, რისი ემოციებიც დარბაზში უნდა დავტოვოთ და სრული კონცენტრაცია გავაკეთოთ მომავალ მატჩზე. წინ არანაკლებ რთული მატჩია გერმანიასთან.

თორნიკე შენგელია:

– როგორც ველოდით, დაძაბული და ბოლომდე არაპროგნოზირებადი თამაში გამოდგა. მიხარია, რომ ხასიათი გამოვავლინეთ. მატჩის უმეტესი ნაწილი ვაგებდით, მაგრამ თავი არ დაგვიხრია და 1 წამითაც არ გვიფიქრია, რომ მატჩს წავაგებდით. ჩვენი მიზანი პლეი ოფში გასვლა და ბრძოლის თურქეთში გაგრძელებაა, ამდენად, ლიტვასთან წარმატებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენს ჯგუფში გერმანიამ 75:63 დაამარცხა უკრაინა. განსაკუთრებით გამოსარჩევია გერმანელთა ლიდერი, ატლანტა ჰოუკსის გამთამაშებელი დენის შრიოდერი, რომელმაც 32 ქულასთან ერთად 7 პასიც შეაწია თანაგუნდელებს.

ჯგუფის პირველი ტურის ბოლო მატჩში ისრაელის ნაკრები იტალიას დაუპირისპირდა და 48:69 დამარცხდა. მარკო ბელინელის ანგარიშზე 18 ქულაა, ამდენივე ქულა ჩააგდო დამარცხებულთა ლიდერმა ომრი კასპიმ.

ა ჯგუფში სლოვენია პოლონეთს დაუპირისპირდა და 90:81 დაამარცხა.

შეხვედრაში ყველაზე მეტი, 30 ქულა სლოვენიის ნაკრების ლიდერმა გორან დრაგიჩმა მოაგროვა.

პოლონელთა მხრიდან მათეუს პონიტკა იყო საუკეთესო, რომელმაც 22 ქულითა და 13 მოხსნით ორმაგი დუბლი გაიფორმა.

ბერძნებმა იოლად, 90:61 მოუგეს ისლანდიელებს. ბერძენთაგან პაპასი გამოირჩა 20 ქულით, ხოლო ისლანდიელთან პალსონი – 21 ქულა.

სენსაციური შედეგი დაფიქსირდა ფრანგებისა და ფინელების მატჩში, რომელიც ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, ხოლო ოვერტაიმში სკანდინავიელებმა იმარჯვეს – 86:84.

ევან ფურნიესა (25 ქულა) და ნანდო დე კოლოს (21) შესანიშნავი თამაში საკმარისი არ გამოდგა. ფინელებმა გუნდურად ითამაშეს, თუმცა მარკარენი უნდა გამოვარჩიოთ, რომელმაც 22 ქულა მიითვალა.

ლუკა ლოჩოშვილი: მინდა კალაძის გზა გავიარო

კიევის დინამოსთან კონტრაქტის გაფორმებისთანავე ლუკა ლოჩოშვილმა კლუბის ბაზას მიაშურა და ჩაპაევკაში სარეაბილიტაციო კურსს გადის. შეგახსენებთ, როდესაც ლოჩოშვილმა კონტრაქტი გააფორმა, ტრავმირებული იყო.

ქართველი ფეხბურთელის ინტერვიუ ახალი კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ლუკა ლოჩოშვილი:

– ბედნიერი დღეა – კიევის დინამოს ფეხბურთელი გავხდი. სხვა დონეა, დიდი და ნათელი ისტორია. ვიყავი სტადიონზე, ბაზაზე და მუშაობისთვის ყველა პირობაა შექმნილი. აქ მოვედი იმისთვის, რომ გავიზარდო, როგორც ფეხბურთელი და მოვიგო ტიტულები. რთული იქნება, რადგან აქ სულ სხვა დონეა, მაგრამ მე მზად ვარ, ავიდე ამ სიმაღლეზე.

– ვინ იყო კიევში თქვენი გადასვლის ინიციატორი. სელექციონერების დაკვირვებამ დიდხანს გასტანა?

– თბილისის დინამოს უკრაინელი მწვრთნელი ვიაჩესლავ გროზნი წვრთნიდა და მან გამიწია რეკომენდაცია. შემდეგ სელექციონერები აკვირდებოდნენ ჩემს თამაშს საქართველოს ჩემპიონატსა და ახალგაზრდულ ნაკრებში. როდესაც წინადადება მივიღე, დიდხანს არ მიფიქრია. მადლობა ჩემს მშობლიურ დინამოს. სწორედ იქ გავხდი პროფესიონალი ფეხბურთელი და გადავდგი პირველი ნაბიჯები დიდ ფეხბურთში.

– უკვე ესაუბრეთ კიევის დინამოს ხელმძღვანელობას, რომელ გუნდთან ერთად დაიწყებთ მუშაობას?

– ვესაუბრე კლუბის პრეზიდენტ, იგორ სურკისს და მთავარ მწვრთნელ ალეკსანდრ ხაცკევიჩს. მიცხადებენ ნდობას, გამიფორმეს ხანგრძლივი კონტრაქტი, მთავაზობენ ყველა პირობას პროგრესისთვის. გადაწყდა, რომ ახალგაზრდულ გუნდში მოვემზადები და შემდეგ ჩემი თამაშით უნდა დავამტკიცო, რომ ვიმსახურებ პირველ გუნდში ყოფნას.

– კიევში ტრავმირებული ჩამოხვედით, რამდენი ხანი გაგრძელდება გამოჯანმრთელების პროცესი?

– ვიმედოვნებ, სერიოზული არაფერია. აგვისტოს დასაწყისში ფეხი ვიტკინე და მას შემდეგ რეაბილიტაციას გავდივარ. 3 კვირის შემდეგ ვარჯიშს უნდა შევუდგე.

– რეაბილიტაციის პროცესს კიევში გაივლით?

– რამდენიმე დღით თბილისში დავბრუნდები, ჩემს ნივთებს ავიღებ, დავემშვიდობები თანაგუნდელებსა და ნათესავებს, 5 სექტემბრიდან კი ჩაპაევკაზე ვარჯიშს გავაგრძელებ.

